ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 28 იანვარი, 2022 №20 (8798) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ბესიკ თამლიანი და 3 პირი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

გურჯაანში გიორგი მღებრიშვილმა დისშვილის მკვლელი გელა ჩაღიაშვილი მოკლა

გვ.5

„რამდენ ხანსაც იქნება ქვეყანაში „ქართული ოცნება“, იმდენ ხანს გაგრძელდება სილატაკე“

გვ.3

რომან გოცირიძე: „თუკი დიდხანს გაგრძელდა საპარლამენტო ბოიკოტი, ნაციონალური მოძრაობა ბევრს ვერაფერს გააკეთებს“

გვ.4

„ძალიან რთული მდგომარეობაა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის“

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციას მშვიდად ყოფნის საფუძველი ამ მოცემულობით ნამდვილად არ აქვს“

„სააკაშვილის ჩამოსვლას გმირობად ვერ შევაფასებ, „ოცნებას“ გამარჯვებაში მიეხმარა“

აკაკი ბობოხიძე: „ნაცმოძრაობა დიდ მხარდაჭერას ანიავებს და ივანიშვილის ხელისუფლებას ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევს“

გვ.2

„ფაქტი სახეზეა, ოპოზიცია მთლიანობაში რეალობის შესაცვლელად არაფერს ვაკეთებთ“

საქართველოში „შტადლერი“ ქარხანას ააშენებს

გვ.2

გვ.2

ეროვნული:

„ქართული ოცნება“ — 24%,
ნაცმოძრაობა — 9%,
არც ერთი პარტია — 41%

გვ.3

მეუფე იაკობი: „როგორ გგონიათ, რომ დამიჭირონ, ტირილს დავიწყებ?!“

ალუდა ღუდუშაური: „ღარიბაშვილი ვაჟკაცი პრემიერია“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 ევროპელი ანალიტიკოსები გერმანიას რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებენ

5 გიორგი ბალხამიშვილი: „ნინო ლაცაბიძის კრიტიკისთვის ერეკლე აბზიანიძემ მცემა“

5 პოლიციელები ნუკრი კაპანაძე და კახა ბაკაშვილი ამბობენ, რომ ვიდეოში ისინი არ არიან
მათ პატიმრობა შეეფარდა

6 ბლინკენი: „ნატოს ღია კარის პოლიტიკა არ შეიცვლება“

„სააკაშვილის ჩამოსვლას გმირობად ვერ შევაფასებ, „ოცნებას“ გამარჯვებაში მიეხმარა“

აკაკი ბობოხიძე: „ნაცმოძრაობა დიდ მხარდაჭერას ანიავებს და ივანიშვილის ხელისუფლებას ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევს“

იაგო ნაცვლიშვილი

სად არის ოპოზიცია და არის თუ არა ის ხალხთან? ვის რა წილი პასუხისმგებლობა აქვს ოპოზიციის ნაკლებად ეფექტიანობაში? რატომ თვლის, რომ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ ივანიშვილის საქმე გააკეთა და რატომ ითხოვენ იმას, რომ ოპოზიციამ დატოვოს პარლამენტი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.

– ვხედავთ ხელისუფლებების მოქმედებებს და უკრაინის რეზოლუციაზე მისი გადაწყვეტილება საერთოდ სხვა განზომილებაა, მაგრამ ოპოზიცია ხართ თუ არა ხალხთან იმისთვის, რომ ეს რეალობა რაღაცნაირად შეცვალოთ?

– თქვენი შეკითხვის პათოსს ვეთანხმები, იმიტომ, რომ ფაქტი სახეზეა. ოპოზიცია მთლიანობაში, ყველანი ერთად, არაფერს ვაკეთებთ, ოღონდ პასუხისმგებლობის დოზები აქაც სხვადასხვაა. ოპოზიციური პარტიების გავლენა პირდაპირ არის დაკავშირებული ელექტორალურ მხარდაჭერაზე. დღეს ყველაზე მეტი ელექტორალური მხარდაჭერა აქვს ნაცმოძრაობას და აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად იქცევა ან არ იქცევა ყველაზე მსხვილი პარტია. მიმაჩნია, რომ ენმ-ც და პარლამენტში შესული სხვა პარტიებიც არასწორად იქცევიან, რაც, ჩემი აზრით, ივანიშვილს და მის რეჟიმს აძლევს ამოსუნთქვის და იმის საშუალებას, რასაც საქართველოს ხელისუფლება თავის თავს, როდესაც ასეთი გამოწვევების წინაშეა, აძლევს უფლებას, რომ პოზიციების დაფიქსირების გარეშე გამოძვრეს სიტუაციიდან. ვგულისხმობ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს.

– ეს არ იყო პოზიციის დაფიქსირება?

– პრინციპში, მაგაშიც გეთანხმებით, პოზიციის არდაფიქსირებაც რეალურად პოზიციის დაფიქსირებაა. ეს მხოლოდ რუსეთისთვის კოჭის გაგორების პოლიტიკა არ არის. ცდილობენ, რომ საქართველო საერთოდ ამოვარდეს ცივილიზებული სამყაროს დღის წესრიგიდან. ეს არ არის მხოლოდ რუსეთის შიშით ან მასთან რაღაცების „დალაგებით“.

– აბა სხვა რით არის განპირობებული?

– ყველაფრით ერთად. რაც უფრო არ იქნება საქართველო მსოფლიოს დღის წესრიგში, საქართველოს ხელისუფლებას მით უფრო შეეძლება საქართველოს თურქმენეთიზაცია ან კორეიზაცია.

– ანუ, აღარ მოსთხოვენ პარტნიორები დემოკრატიულ რეფორმებს, საერთოდ სათვალავში აღარ იქნება და ეს ურჩევნია?

– რა თქმა უნდა, მათ ეს ურჩევნიათ, მაგრამ შეუძლებელია საქართველოსნაირი ქვეყანა ასეთ რეჟიმში არსებობდეს. მათი პოლიტიკა სინამდვილეში ხელისუფლების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული, მაგრამ ეს ქვეყნის განადგურებას ნიშნავს, რის შედეგადაც ქვეყანა რუსეთისთვის იოლი ლუკმა გახდება.

– გუშინწინ გარკვეული პოზიტიური სიგნალები გაჩნდა. ვგულისხმობ შალვა პაპუაშვილის ვიზიტს ბრიუსელში და თითქოს ის ითხოვდა ნატოში წევრობის დაჩქარებას. გასაგებია, რომ ეს ცალმხრივად, შიდა სამუშაოების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ის, რომ ამაზე გაისმა რიტორიკა, ამას პოზიტიურად არ უნდა შევხედოთ?

– „ოცნების“ ლოგიკაში „გაჩნდა“-ს ვერ ვიტყვით. იმიტომ, რომ მუდმივად ახსენებენ ხოლმე ნატოსაც და ევროკავშირსაც, მაგრამ რეალური ქმედებებით ის აშორებს საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას. ამაზე მეტყველებს ჩვენი მეგობრების განცხადებებიც, რომლებიც წუხან საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო.

– მაშინ რატომ ვერ ბედავენ, რომ საერთოდ უარი თქვან ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე და მათ შორის იმ ვალდებულებების აღებაზეც, რაც გვაკისრია?

– იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკა და საქართველო, როგორც სახელმწიფო, მთლიანად დამოკიდებულია დემოკრატიული და ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერაზე. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რომ იზოლაციაში იყოს ქვეყანა და არავინ მოსთხოვოს ქმედებებზე პასუხი, ეს განწირულია კრახისთვის, ოღონდ არა მარტო მათთვის, არამედ ქვეყნის ინტერესებისთვისაც. მინიმუმ შეარყევს ქვეყნის მომავალს „ოცნების“ პოლიტიკა, თუ საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დასვამს.

> **„ფაქტი სახეზეა, ოპოზიცია მთლიანობაში რეალობის შესაცვლელად არაფერს ვაკეთებთ“**

– ახსენეთ, რომ ოპოზიციიდან ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ნაცმოძრაობას ეკისრება. თქვენ ასევე თქვით, რომ პარლამენტში შესვლა შეცდომაა. ამაზე ლევან ხაბეიშვილმა გიპასუხათ, რომ თქვენ რას აკეთებთ გარეთ იმაზე მეტს, ვიდრე ჩვენ პარლამენტშიო. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პარტიების გავლენების მასშტაბები პირდაპირ არის ელექტორალურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული. ჩვენ დავიწყეთ დეკემბერში და გავაგრძელებთ თებერვლიდან – ვივლით ოპოზიციურად განწყობილ ელექტორატთან და დავანახებთ, რომელი არჩევანია სწორი. მიგვაჩნია, დავარწმუნოთ ამომრჩეველი, რომ პარტია, რომელიც არასწორად იქცევა, მხარი არ დაუჭირონ. ნაცმოძრაობა დიდ მხარდაჭერას ანიავებს და მომენტიდან მომენტამდე ივანიშვილის ხელისუფლებას ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევს.

ამბობენ ხოლმე, რომ პირველი ნაბიჯი გადადგა მიშამ. მის ნაბიჯებს მე გმირობად არ შევაფასებ. მე ვაფასებ შედეგის თვალსაზრისით და მიმაჩნია, რომ მისმა ჩამოსვლამ 43%-იანი შედეგის საქმე გააფუჭა. „ოცნებას“ მიეხმარა 43%-იანი ბარიერის გადალახვაში და ამას თვითონ ნაცმოძრაობის წევრებიც არ უარყოფენ, ოღონდ ამას პირდაპირ არ ამბობენ. როცა ამბობენ, რომ მიშას ჩამოსვლამ პოლარიზაცია მოახდინაო, ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ მცირედით, მაგრამ მოუმატა ხმები ნაცმოძრაობას, მაგრამ ასევე მოუმატა ხმები ბიძინა ივანიშვილს?!

ამის მერე ჩატარდა არჩევნები და არასდროს, 2012 წლიდან მოყოლებული, არც ერთ არჩევნებს არ ჰქონია ისეთი მძიმე შეფასება, როგორც ეს ჰქონდა 2021 წელს ჩატარებულ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლებისგან. იმის მაგივრად, რომ ჩვენ ამ განცხადებებსა და „ოცნების“ განცხადებაზე დაყრდნობით, რომ გადიან შარლ მიშელის შეთანხმებიდან, გვესაუბრა ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. ამის მაგივრად მთელი საქართველო გადაერთო მიშას შიმშილობა – არშიმშილობის, ჯანმრთელობის საკითხებზე.

მე მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობა პირობის შეუსრულებლობაზე ეკისრება „ქართულ ოცნებას“, მაგრამ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკურ ძალებსაც ეკისრებათ, რომელთაც მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას და მედიატორებსაც, ვისი შეთანხმებითაც მოხდა შეთანხმება. ანუ, ჩვენ პარტნიორებს უნდა ვთხოვდეთ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ეს მოქმედებები მინიმუმ შეცდომაა და არ მინდა ვიფიქრო, რომ პირდაპირ არის შეთანხმებული „ქართულ ოცნებასთან“. ამიტომ, ჩვენ დავიწყეთ მცდელობა, რომ ეს დავანახოთ ამომრჩეველს. დაინახავს ამომრჩეველი? – გაიზრდება მხარდაჭერა, არ დაინახავს და არ დაგვიჯერებს? – მაშინ უცვლელი იქნება მხარდაჭერა განაწილებული, ოღონდ შედეგიც ისევ ისეთი იქნება, როგორიც იყო ამ პერიოდის განმავლობაში.

– ეგ ეჭვიც გიჩნდებათ, რომ სააკაშვილი პირდაპირ შეთანხმებულია ივანიშვილთან?

– ადამიანი შეიძლება შეცდე ერთხელ, ორჯერ, მაგრამ თუ მუდმივად ეშლება და არ ცდილობს დასკვნები გამოიტანოს, მე არ ვიცი, რა უნდა ვიფიქროთ. პრობლემა ის არის, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი ციხეშია და მასთან შესული ადამიანები ისეთ სურათს უხატავენ, რომელიც მას უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისკენ, რომელიც მათ აწყობთ. ნაცმოძრაობის დეპუტაციას არ უნდა პარლამენტიდან გამოსვლა. სააკაშვილმა ერთხელ გააკეთა მოწოდება, რომ დატოვეთ პარლამენტიო, მაგრამ მერე გადათქვა, ისე, როგორც არაერთხელ გაუკეთებია სხვადასხვა პროცესებთან დაკავშირებით და გადათქვა მარტივი მიზეზების გამო, რადგან მისი ამ სურვილის შესრულებას პარლამენტში მყოფი ენმ-ის დეპუტატები არ აპირებდნენ. ამიტომ, იძულებული გახდა, თვითონ გამხდარიყო ინიციატორი პარლამენტის არდატოვების. სააკაშვილი გაექცა იმის დაფიქსირებას, რომ მასა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს შორის არსებობს პოზიციათა სხვადასხვაობა ამ საკითხზე. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არსებობდა.

– თითქოს ისე ჩანს, რომ „ევროპულ საქართველოს“ აკვიატებული გაქვთ პარლამენტის დატოვება. განგვიმარტეთ, რატომ ითხოვთ პარლამენტის დატოვებას და რა უშლის ხელს, რომ ბრძოლა იყოს პარლამენტშიც და პარალელურად იბრძოლოთ ქუჩიდანაც?

– ცოტა შორიდან დავიწყოთ. ეს პარლამენტი შედგენილია არა 2020 არჩევნების შედეგების საფუძველზე, არამედ შარლ მიშელის დოკუმენტის საფუძველზე და ამ დოკუმენტის შეთანხმების შესასრულებლად შევიდა ოპოზიცია. მას ჰყავს სამი მხარე, ერთი ხელისუფლება, მეორე ოპოზიცია და მესამე – მედიატორები. როცა არ სრულდება დოკუმენტი, უნდა დაისაჯოს არშემსრულებელი და დაზარალებული ანუ ოპოზიცია დამნაშავის დასჯას უნდა ითხოვდეს. მესამე მხარე ანუ მედიატორი კი უნდა გვეუბნებოდეს, როგორ სჯის დამნაშავეს. თქვენ პარლამენტში შესული ოპოზიციისგან მსგავსი პოზიცია მოგისმენიათ?! – ამიტომ მარტივად ვამბობთ მარტივ რამეს, ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს „ოცნების“ დასჯისკენ შარლ მიშელის დოკუმენტის დარღვევის გამო.

თუ ამას არ გავაკეთებთ და ამ ორ წელიწადს მუქთად დავკარგავთ, მაშინ 2024 წელს „ოცნება“ კვლავ დაარღვევს ყველა კანონს და ეცდება გაყალბებით მოიგოს არჩევნები და მერე ან კვლავ შეგუება მოგვიწევს, ან მუშაობა იმაზე, რომ „ოცნებას“ პასუხი ვაგებინოთ ჩადენილ საქმეზე და ამაზე მუშაობას ახლავე რატომ არ ვიწყებთ?! რატომ არ ვითხოვთ ამ დარღვეული შეთანხმების გამო სანქციებს? – არ ვიცი რაში გამოიხატება სანქციები, ის სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს და თუ მას მივაღწევთ, მაშინ „ოცნება“ 2024-ში დარღვევას ან ვერ გაბედავს, ან ნაკლებად გაბედავს. ამ ორ წელს ვკარგავთ და ეს არის ჩვენი მოთხოვნა და არა ის, რომ მაინცდამაინც პარლამენტი დავტოვოთ. თუ „ოცნება“ თავის აღებულ ვალდებულებას არ იტვირთებს, ქართული ოპოზიცია, ბუნებრივია, კვლავ დაუბრუნდება იმ საწყის მდგომარეობას, რა მდგომარეობიდან გამოსაყვანადაც დაიდო შარლ მიშელის შეთანხმება. ჩვენი თვითმიზანი არ არის პარლამენტის დატოვება ან არდატოვება, ჩვენი თვითმიზანია, რომ „ოცნების“ დარღვევებს მიეცეს შესაბამისი შეფასება და მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

ენდიაი: „ქართული ოცნება“ — 24%, ნაცმოძრაობა — 9%, არც ერთი პარტია — 41%

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 27 იანვარს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, კითხვაზე რომელი პარტია დგას თქვენ შეხედულებებთან ახლოს? პასუხები ასე გადანაწილდა:

არც ერთი პარტია – 41%; „ქართული ოცნება“ -24%; ნაციონალური მოძრაობა – 9%; უარი პასუხზე -12%; არ ვიცი – 6%; სხვა – 8%

ენდიაის ინფორმაციით, კვლევა 2021 წლის 7-13 დეკემბრის პერიოდში საქართველოს მასშტაბით 2.099 სატელეფონო ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით).

გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/– 1.4 პროცენტი.

საქართველოში „შტადლერი“ ქარხანას აშენებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიოში მატარებლების მწარმოებელი ლიდერი შვეიცარიული კომპანია „შტადლერის“ (Stadler Rail AG) მფლობელსა და დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტს პიტერ შპულერს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი საქართველოს მთავრობასა და „შტადლერს“ შორის თანამშრომლობას შეეხო. განიხილეს მსხვილი კომპანიის მიერ საქართველოში დაგეგმილი პროექტები. საუბარი შეეხო „შტადლერის“ მიერ საქართველოში ქარხნის აშენების შესაძლებლობას, რომელიც სარკინიგზო შემადგენლობების წარმოებას და შეკეთებას უზრუნველყოფს.

აღინიშნა, რომ მთავრობა მაქსიმალურად დაუჭერს მხარს აღნიშნული ინვესტიციის განხორციელებას.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოზე და ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე, ასევე, საუბარი შეეხო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს, მათ შორის ევროკავშირთან, ჩინეთთან, ისევე, როგორც რეგიონის ქვეყნებთან, რაც საქართველოს არაერთ მსხვილ ბაზარზე თავისუფალი წვდომის საშუალებას აძლევს. ამასთან, აღინიშნა საქართველოს, როგორც რეგიონული სატრანზიტო ჰაბის როლი და ამ მიმართულებით განვითარების პერსპექტივები.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ „შტადლერის“ მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი მათიას სტოჰი, შვეიცარიის ელჩი საქართველოში ჰეიდი გრაუ, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე, „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე, „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორი დაჩი ცაგურია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რამდენ ხანსაც იქნება ქვეყანაში „ქართული ოცნება“, იმდენ ხანს გაგრძელდება სიღატაკე“

რომან გოცირიძე: „თუკი დიდხანს გაგრძელდა საპარლამენტო ბოიკოტი, ნაციონალური მოძრაობა ბევრს ვერაფერს გააკეთებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესები შევაფასოთ და რეზოლუციის თემით დავიწყოთ. ოპოზიცია ხელისუფლების მიერ შედგენილ რეზოლუციას, რომელიც უკრაინის მხარდაჭერას ეხება, არ იზიარებს და ალტერნატიულ რეზოლუციას ადგენს. რა პოზიცია უჭირავს ხელისუფლებას, ისევ რუსეთის არ გაღიზიანების პოლიტიკას მისდევს?

– პარლამენტში უკრაინასთან დაკავშირებულ რეზოლუციაში, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ იყო ინიცირებული, თავდაპირველად რუსეთის აგრესიული როლიც იყო გამოკვეთილი. საბოლოო ვარიანტში რუსეთის ხსენებაც კი არაა და რაღაც აბსტრაქტულ დაპირისპირებაზეა საუბარი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ვიღაცამ (გასაგებია ვინც) აკრძალა რუსეთის ხსენება. ეს იმაზე არანაკლებ საგანგაშოა, ვიდრე რეზოლუციის „დავარცხნილი“ ტექსტი. საქართველოს ჰყავს უღირსი ხელისუფლება, რომელიც არ ემსახურება ქვეყნის ინტერესებს. რუსეთის ხსენებაც კი არ არის ამ რეზოლუციაში. ეს მოვლენები მარტო უკრაინას არ უკავშირდება, საქართველოც არის ამ პროცესში. რუსეთის მთავარი მოთხოვნა ნატოს გაფართოვების უარის თქმის კონტექსტში, ეს იყო საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებით. ჩვენთან დაკავშირებით არის ატეხილი მსოფლიო მასშტაბის ვნებათაღელვა და ჩვენ რუსეთს არ ვახსენებთ. ეს არის უკვე ძალაუფლებას სრულიად დაპატრონებული ივანიშვილის პოზიცია, გამაგრებული რუსეთის ზურგით. დღეს „ქართული ოცნება“ იმას აკეთებს, რაც მოესურვება.

– სწორედ ამიტომ, ძალიან ხშირად ვისმენთ საზოგადოების მხრიდან შეფასებებს, „ქართული ოცნება“ დღეს რომ ასე იქცევა, დიდწილად ოპოზიციის დამსახურებაა, რადგან ვერ უწევს სათანადო ოპონირებას და არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ადრე იყო. ამაზე რას იტყვით?

– მოდით, ჯერ დაწყებულ თემას დავასრულებ და ამაზეც გიპასუხებთ აუცილებლად. 2014 წელსაც დაიწერა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, მაგრამ მაშინ „ოცნება“ სულ სხვანაირი იყო, ვინც მასთან ერთად კოალიციაში იყო, დღეს ყველა მის ოპოზიციაშია. რა შეიცვალა ამ 7 წელში? „ოცნებამ“ მოახერხა ყველაფრის დაპყრობა, ხელში ჩაიგდო ეკონომიკა, ფინანსები, თავისი ყურმოჭრილი მონები დანიშნა ყველგან, თანამდებობებზე. რეალურად უზურპაცია მოახდინა ხელისუფლების ყველა შტოსი. პარლამენტი პარლამენტი არაა, სასამართლო სასამართლოს არ ჰგავს და ძალოვანი სტრუქტურები გახდნენ მათი საარჩევნო შტაბის შემადგენელი ნაწილი. როდესაც ასე მოიმაგრა პოზიციები, იმდენად გათავხედდა, რომ პარლამენტს, რომელმაც რბილი რეზოლუცია გააკეთა, მაგრამ რუსეთის ხსენება მაინც იყო, მეორე დღესვე შეაცვლევინა ეს რეზოლუცია და სიტყვა რუსეთი ამოაღებინა ტექსტიდან. ფაქტობრივად უკვე გაფორმდა, ამაზე ნათელი მაგალითი, თუ საით მიდის საქართველო, არ არსებობს. თუკი ვინმეს რაიმეში ეჭვი ეპარებოდა, ყველაფერს ფარდა აეხადა და ყველაფერს ნიღაბი ჩამოეხსნა. სწორედ ეს იყო ბოლო მხილება ივანიშვილის რეჟიმისა საქართველოში. ამიტომ, ამის მერე, ყველამ კარგად უნდა გაიაზროს, ოპოზიციამ, საერთაშორისო პარტნიორებმაც თუ რა რეჟიმთან გვაქვს საქმე და როგორი უნდა იყოს სამოქმედო გეგმა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას.

– დიახ, რამდენად ძლიერია დღეს ოპოზიცია და უწევს სათანადო ოპონირებას ხელისუფლებას?

– თუ დავაკვირდებით არჩევნებში ოპოზიციის მიერ აღებულ ხმებს, ვხედავთ, რომ ფაქტობრივად ოპოზიციამ მეტი ხმა აიღო. პროპორციული საარჩევნო სისტემა რომ ყოფილიყო, დღეს „ქართული ოცნება“ იქნებოდა უმცირესობაში. ოპოზიციური ხმები მეტია „ქართული ოცნების“ ხმებზე. დღითიდღე კლებულობს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვი და ამას არჩევნების შედეგებიც აჩვენებს და გამოკითხვის შედეგებიც. თუმცა საკმარისია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის შემცირება და ოპოზიციის მხარდაჭერის ზრდა ხელისუფლების შესაცვლელად? რა თქმა უნდა, არჩევნების გაყალბებისა და მათი მანიპულაციის მასშტაბი ვიცით რა არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი რეალობა და პოლიტიკური ტრადიცია. ოპოზიციამ უნდა მიიღოს იმაზე მეტი, რაც ამ ადმინისტრაციული და სხვა რესურსების გამოყენებით, ფორად დასდევს ხელისუფლებას. გაცილებით მეტი ხმები უნდა მოიპოვოს და ამაზე უნდა იფიქროს და იმუშაოს ოპოზიციამ. მომავალი არჩევნები, რიგგარეშე იქნება თუ არა რიგგარეშე, დამთავრდეს ამ რეჟიმის ცვლილებით. რამდენ ხანსაც იქნება ქვეყანაში „ქართული ოცნება“, იმდენ ხანს გაგრძელდება სიღატაკე და სერიოზული რისკები, მათ შორის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

– კვლევები ახსენეთ, ბატონო რომან და ენდიაის კვლევები გამოქვეყნდა გუშინ, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. მოსახლეობის 41%-ს არც ერთი პარტია არ მოსწონს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ნაცმოძრაობა – 9%, „ოცნება“ – 24%, თითქმის განახევრებულია ხმები.

– ნაცმოძრაობის გარდა, ერთიან ოპოზიციას კიდევ აქვს ცალკე ხმები.

– ფაქტია, რომ მოსახლეობა ოპოზიციითაც უკმაყოფილოა, ეს ღიად ჩანს, აღარ იმალება.

– კი, გასაგებია, მაგრამ ოპოზიციის ჯამური ხმები და ის დარჩენილი 41%, სადაც ბევრი „ოცნების“ მხარდამჭერი იყო და დღეს იმედგაცრუებულები არიან და განხიბლულები, რა თქმა უნდა, ამ ადამიანებზე არის დამოკიდებული, ხელისუფლება შეიცვლება თუ არა. სწორედ მათ უნდა ვაჩვენოთ, რომ ოპოზიციას შეუძლია უკეთესად მართვა, რომ ოპოზიცია არის რეალური ალტერნატივა. ბუნებრივია, რომ ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი თავად ოპოზიციის უნარებზე და არც ეს არის დასამალი. ოპოზიცია, ბუნებრივია, უნდა გაძლიერდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ კონკურენტები, ამავე დროს მომავალში ჩვენ უნდა ვიყოთ პარტნიორები. ოპოზიციური ფლანგის გაძლიერება ნებისმიერი მიმართულებით და არა მხოლოდ თუნდაც ნაციონალური მოძრაობისა, ეს ზოგადად საჭიროა ხელისუფლების შესაცვლელად და მომავალი კოალიციური თანამშრომლობისათვის. ამიტომ უნდა გამოძებნოს ოპოზიციამ პოლიტიკური ბრძოლის ისეთი ფორმები და მათ შორის საპარლამენტო ფორმა, რადგან თუ ასე გაუთავებლად გაგრძელდა ეს ბოიკოტი, მაშინ ეს სერიოზულად დაგვაზარალებს.

– ნაცმოძრაობა დღემდე ბოიკოტის რეჟიმში რჩება, არადა, გამოდის ინფორმაციები, რომ თქვენს პარტიაში ბევრია პარლამენტში დაბრუნების მომხრე. რაღას უცდით, რატომ არ იღებთ გადაწყვეტილებას?

– დიახ, საპარლამენტო ტრიბუნა აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული. სამშაბათობით მარტო განცხადებების გაკეთება და ამით საკუთარი როლის მოლევა არა არის საკმარისი. აუცილებელია ყოველდღიური მუშაობა პარლამენტში, იჯდე მაგიდასთან, კანონები წერო. მიიღებენ – არ მიიღებენ ამას არა აქვს მნიშვნელობა. უნდა დაანახო საზოგადოებას, რა გინდა და საითკენ გინდა წაიყვანო ქვეყანა. ხშირად ამბობენ ხოლმე, რა აზრი აქვს, როცა ჩვენ კანონს ვერ გავიტანთ, მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ოპოზიციის ყოფნას და რა აზრი აქვს 5 მანდატის მიღებას ან 10-ის?! მაინც უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას. ორგანიზებულ ოპოზიციას შეუძლია, რომ ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე. ერთი ჩემი მაგალითი მინდა მოვიყვანო, წინა პარლამენტში შევიმუშავე კანონპროექტი მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებით, სადაც 100 ლარამდე იყო გათავისუფლებული დაბეგვრისაგან, შევიტანე კანონპროექტი, რომ ეს უნდა აწეულიყო 200 ათასამდე, ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა საშინელი დასკვნა, რომ თურმე ეს დაღუპავს ბიუჯეტს და „ქართულმა ოცნებამ“, რა თქმა უნდა, გადააგდო ეს კანონპროექტი. მე ჯიუტად გავიმეორე იგივე კანონი, ოდნავ სახეშეცვლილი, გავიდა სამი წელი და ახლა, რას ვხედავთ? „ქართულმა ოცნებამ“ გადაწერა ჩემ მიერ შემუშავებული კანონპროექტი და უფრო მეტიც, 500 ათას ლარამდე ასწია მცირე ბიზნესის გადასახადებისგან გათავისუფლება და დაუწესა მხოლოდ 1% ბრუნვის. რეალურად, ჩემი კანონი მოქმედებს დღეს, ოღონდ თავის თავზე მიწერილი. გადაწყვიტეს, რომ არაპოპულარული იქნებოდა კიდევ ერთხელ ჩემი ინიციატივის ჩაგდება და საკუთარ თავზე მიიწერეს და გააფორმეს, როგორც მცირე ბიზნესზე მზრუნველი ხელისუფლება. დღეს რეალურად ჩემი კანონი მოქმედებს და ეს არავინ იცის. კიდევ დავწერ კანონებს, რომელიც იმუშავებს.

– ამისთვის პარლამენტში შესვლაა საჭირო. რა განწყობებია პარტიაში, უმრავლესობა არის შესვლის მომხრე?

– რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია და ამას გადავწყვეტთ უახლოეს პერიოდში. თუკი დიდხანს გაგრძელდა საპარლამენტო ბოიკოტი, ნაციონალური მოძრაობა დაემსგავსება იმ ფეხბურთელს, რომელსაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა და წონამომატებული და ფორმადაკარგული დაუბრუნდა სათამაშო მოედანს, სადაც ბევრს ვერაფერს აკეთებს.

მეუფე იაკობი: „როგორ გგონიათ, რომ დამიჭირონ, ტირილს დავიწყებ?!“

– ნუ ვიტირებთ თუ დაგვიჭერენ! როგორ გგონიათ, რომ დამიჭირონ, ტირილს დავიწყებ, ან ხალხი რომ გამოდიოდა, გამიშვითო, იმას ვიკადრებ და ვიტყვი, რომ გამიშვითო?! ხომ გეტყვით, რომ მიხედეთ თქვენს საქმეს, ქვეყანას მიხედეთ.

ამის შესახებ 27 იანვარს ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა ქადაგებისას განაცხადა.

მან სასულიერო პირებს მოუწოდა, „ჭკვიანად იყონ“ და ზედმეტად ნურავის დაიცავენ, თორემ პასუხი ყველას მოეთხოვება.

– ჩვენთან ძალით ვაჟკაცობა არავინ არ უნდა დაიწყოს. კარგად გაიხსენეთ, როდესაც ვიღაცები ვაჟკაცობდნენ, როგორ გარბოდნენ მერე ქვეყნიდან. ქართველებმა უნდა ვისწავლოთ საქართველოზე ფიქრი. პატრიარქს რამდენი დამსახურება აქვს ერის წინაშე, პატრიარქის დასაცავად ქართველი ერი არასდროს არ გამოსულა. ღმერთი იცავს პატრიარქს, ვინც არ უნდა დაესიოს – ყვავ-ყორნები იქნებიან თუ ჩვენები იქნებიან, თუ გარედან იქნება ვინმე, ვინ ვის რა უნდა დააკლოს?!

სასულიერო პირებსაც მოვუწოდებ და ერის ხალხსაც, ერთ კაცს და ორ კაცს ნუ გააყოლებენ ქვეყანას. ვიღაცას დაიჭერენ. რამდენი პატიმარი გვყავს, 300 ათასზე მეტი მისჯილი გვყავდა, 24 ათასზე მეტი ციხეში იჯდა, 400 ათასამდე კაცი იყო გასამართლებული, მაშინ კარგი სასამართლო იყო და დღეს არის ცუდი? თუ მაშინ არ ვარგოდა სასამართლო, აბა, რა ქვეყანა გვქონდა მაშინ აშენებული? უვარგისი სასამართლოს პირობებში სახელმწიფო სახელმწიფოა?

ამიტომ გონიერება მოვიკრიბოთ, ნუ ვიტირებთ თუ დაგვიჭერენ. როგორ გგონიათ, რომ დამიჭირონ, ტირილს დავიწყებ ან ხალხი რომ გამოდიოდა, გამიშვითო, იმას ვიკადრებ, რომ გამიშვითო?! ხომ გეტყვით, რომ მიხედეთ თქვენს საქმეს, ქვეყანას მიხედეთ.

უკრაინაზე რომ ფიქრობთ, მაშინ დაგიჯერებთ, თუ საქართველოზე მანამდე იფიქრებდით. თორემ მათი ტკივილი ჩვენი ტკივილია. მაინცდამაინც 9 აპრილი უნდა მოხდეს, რომ ერთობა გვქონდეს?! გავერთიანდეთ, მერე მაშინ დავიჯერებ, ვიღაცაზე ზრუნავ, თუნდაც ერთ ადამიანზე. ამდენი ქალია ციხეში, იმათ კი არ რცხვენიათ, გარეთ რომ დარბიან გამოუშვათ, გამოუშვათო?! იმდენი ქალია, ჯერ ქალებზე იზრუნეთ, გამოუშვით, მერე დაგიჯერებთ! სხვებიც გამოვუშვათ!

მე აბსოლუტურად ყველას გავუშვებდი ციხიდან. ჩვენებსაც მოვუწოდებ, ჭკვიანად ვიყოთ და ზედმეტად ნურავის ნუ დავიცავთ, თორემ რაღაც პერიოდი მოვითმენთ, არავის არაფერს ვეტყვით, მაგრამ მერე პასუხს შიგნით ჩვენც მოვთხოვთ ყველას, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მან ქადაგებისას ასევე ისაუბრა საყოველთაო შერიგების პროცესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „შერიგება აუცილებლად მოხდება და ღირსებაშელახული არავინ დარჩება“.

– შერიგება პატრიარქმაც იცის და მეც ვიცი. სხვები რომ ლაპარაკობენ, თქვენ გგონიათ იციან რა არის შერიგება?! არ იციან, რა არის შერიგება, შერიგება ხდება სხვანაირად.

მჯერა, აუცილებლად მოხდება შერიგება ისე, რომ ღირსებაშელახული არავინ დარჩება. დღეს ძალიან ბევრი ღირსებაშელახულად თვლის თავს, ეს უნდა ვიცოდეთ. თუ შენდობაა, სათხოვარი ყველამ ერთმანეთს უნდა ვთხოვოთ, ალბათ, ყველა ვართ დამნაშავეები, ვიღაცებს რაღაცის უფლება მივეცით, დროზე არ გავაჩერეთ, აკეთეს ისეთი რამე, რისი გაკეთებაც ადამიანისგან, ქართველი კაცისგან არ არის მიზანშეწონილი.

სულ გამარჯვებულები ვყოფილიყავით ქართველები, ჯერ ჩვენს თავზე გაგვემარჯვოს. პატარა ქვეყანა ვართ, ძალიან ძლიერი არ ყოფილა ეკონომიკა წინა წლებში, თუმცა, ძალიან მალე შეგვიძლია გამოსვლა, სხვებისგან განსხვავებით. სიღარიბე რომ არის და ზოგიერთი ადამიანი რომ შიმშილობს და შეიძლება კვდებოდეს, ამას მივხედოთ და არა იმას, ვინ ჭამს და ვინ არ ჭამს. ხალხს საჭმელი არ აქვს, არათუ რაღაცის გამო არ ჭამს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გონიერება მოვიკრიბოთ! ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთი ქვეყანა გვაქვს.

ვხედავთ, მსოფლიოში რა ხდება. ჩვენც ხომ არ უნდა გავხდეთ ისე, წახვიდე, ვიღაცას ომი დაუწყო, შემოვიდნენ და კიდევ დავკარგოთ 20-30%? ცოტა გონივრულად უნდა მოვიქცეთ! დღეს ხალხი შეშინებულია. ჩვენი ერი შეშინებულია. პანდემიის მერე კი ისე შეაშინეს, რომ უნივერსიტეტში სასწავლებლად გამოსვლა არ უნდოდათ ვიღაცებს.

მერე როგორ უნდა იმუშაონ, პანდემია რომ მორჩება, როგორ უნდა იცხოვრონ? ნუ ვიქნებით ქართველები მშიშრები! უნდა გავფრთხილდეთ, მაგრამ შიში ჩვენთან, ქიზიყში არ ყოფილა! მტერზე პირდაპირ მივდიოდით ყოველთვის. გონივრული სიფრთხილე ყოველთვის მისასალმებელია, მაგრამ ზედმეტმა შიშებმა სიკვდილიანობა გააჩერა თუ რა ქნა?! – განაცხადა მეუფე იაკობმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ძალიან რთული მდგომარეობაა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის“

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციას მშვიდად ყოფნის საფუძველი ამ მოცემულობით ნამდვილად არ აქვს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ენდიაის ბოლო სოციოლოგიური კვლევა რა სურათს გვაძლევს? მთავრობის საქმიანობას გამოკითხულთა 52% ცუდად აფასებს.

– როგორც თერმომეტრი ზომავს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს, დაახლოებით ასე აფასებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს სოციოლოგიური კვლევები და არჩევნები.

პრობლემების, რომლის წინაშეც სახელმწიფო დგას, რომლის წინაშეც თითოეული ჩვენგანი დგას, ამის ასახვას ახდენს სოციოლოგიური აზრის კვლევა. კვლევებმა გვიჩვენა, თუკი ამ გზით გავაგრძელებთ სვლას, არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური ძალა, არამედ მთლიანად სახელმწიფო, საზოგადოება, ჩვენი პერსპექტივა იქნება არა მხოლოდ დემოკრატიული ოჯახის რუკიდან გაქრობა, არამედ დესუვერენიზაცია.

ახლა საზოგადოების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს დემოკრატიული პროცესების გაღრმავება და აიძულოს პოლიტიკური სპექტრი, ხელისუფლება თუ ოპოზიცია, ამ პროცესებში ჩართოს. ჩართულობა და პასუხისმგებლობის გადანაწილება არის კომფორტი ყველა პოლიტიკური ძალისთვის. ამ დროს პასუხისმგებლობა გადანაწილებულია, ამ დროს შეცდომებს აზღვევ. შეცდომებისგან კი არავინ არის დაცული.

ყველა კონკრეტული ჯგუფი, რომელიც მოვიდა ხელისუფლების სადავეებთან, მთელი ამ ხნის მანძილზე გვეუბნებოდა, რომ ჩვენ ყველაფერზე მონოპოლია გვაქვს, რომ ჩვენ უშეცდომონი ვართ. თუ ეს მიდგომა, თუ ეს რეალობა არ შევცვალეთ, ვიღლით ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე.

– გამოკითხულთა 41% არც ერთ პარტიას არ მიიჩნევს თავისი ინტერესების გამომხატველად.

– დიახ, ეს არის იმ არსებული რეალობის მკაფიო გამოხატულება, რომელშიც დღეს იმყოფება პოლიტიკური სპექტრი. ერთ მხარეს არიან პოლიტიკური პარტიები და მეორე მხარეს – ამ ქვეყნის მოქალაქეები, ამომრჩეველი. ეს ძალიან რთული მდგომარეობა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის.

– რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ, მთელი ამ ხნის მანძილზე თავი მოაწონოს ამომრჩეველს?

– ეს არ არის ახალი მდგომარეობა, უბრალოდ, ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებს. გაიხსენეთ მიშელის დოკუმენტი და ის პერიპეტიები, რომელიც ამ ყველაფერს ახლდა – ხელმოწერიდან და „ქართული ოცნების“ მიერ შეთანხმებიდან გასვლით.

თუკი არჩევნების შედეგებს გადავხედავთ, ამ კვლევაში სხვა შედეგები, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. განსხვავებულ სურათს ვინმე ელოდა?!

პოლიტიკაში არის უმთავრესი წესი, საზოგადოებაში თუ ჩნდება მოთხოვნა, იმ მოთხოვნის ადეკვატური უნდა იყოს პოლიტიკოსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის საზოგადოების ნდობას ვერ მოიპოვებს. ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების საკითხთან გვაქვს საქმე, რომლის უგულებელყოფასაც ახდენს ოპოზიცია. ეს არის და ეს. პოლიტიკური პარტიები სცილდებიან რეალურ პოლიტიკურ პროცესს და ცდილობენ კუნთები ათამაშონ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისიც კი არ იციან, პარტიაში რამდენი წევრი ჰყავთ და ეკითხებიან თუ არა მათ რამეს.

– გამოდის, რომც დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, ოპოზიციისთვის იგივე რეალობა დადგება, რაც იყო წინა არჩევნებზე?

– არ გამოვრიცხავ, მმართველ პოლიტიკურ ძალას, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, შედეგები გაუუარესდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციას მოემატება ეს ხმები. ელემენტარულია, ნიჰილისტურად განწყობილი ადამიანები, რომელთაც უკვე არაფრის იმედი და მოლოდინი აღარ აქვთ, უბრალოდ, სახლში დარჩებიან, არჩევნებზე აღარ მივლენ. ან თუ მივლენ, ბიულეტენს გააფუჭებენ.

ამიტომ, ოპოზიციას მშვიდად ჰყოფნის საფუძველი, ამ მოცემულობით, ნამდვილად არ აქვს. მართალია მანიპულაციები იყო, დარღვევებიც იყო და ოპოზიციის შედეგებში ეს ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს არ ცვლის ოპოზიციის სასარგებლოდ შედეგებს. მმართველი პოლიტიკური ძალა, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“, თუკი კარგავს ძალაუფლებას, ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია ძლიერდება.

ამ რეალობაში საფრთხე დგება, დაბალი ლეგიტიმაციის მქონე პოლიტიკური ჯგუფები მოვიდნენ ხელისუფლებაში და ეს ეხება ოპოზიციასაც. სამწუხაროდ, ჩვენი საარჩევნო სისტემა ამის „გარანტიას“ აძლევს ყველას.

მოსწავლეები მიკროავტობუსებით უფასოდ იმგზავრებენ

1 თებერვლიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში ახალი სააბონემენტე სისტემა ამოქმედდება. ერთჯერადად მგზავრობა 1 ლარი ეღირება.

ამასთან, მგზავრობის 90-წუთიანი ბარათი 1 ლარი ეღირება, 1-დღიანი ბარათი – 3 ლარი, 1-კვირიანი – 20 ლარი, 1-თვიანი – 40 ლარი, 3-თვიანი – 100 ლარი, 6-თვიანი – 150 ლარი, ხოლო 1-წლიანი ბარათები 250 ლარი ეღირება.

ახალი სააბონემენტე სისტემის შესახებ, რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ვიქტორ წილოსანმა ისაუბრა.

მისი თქმით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში 1 თებერვლიდან მოქალაქეები მგზავრობის საფასურის გადახდას შეძლებენ როგორც მეტრომანებით ერთჯერადად, ასევე პლასტიკური ბარათებით და, რა თქმა უნდა, ახალი სააბონემენტე ბარათებით.

– როგორც მოგეხსენებათ, ლურჯ მიკროავტობუსებსა და მეტროსადგურებში, აქამდეც შეუძლებელი იყო მგზავრობის საფასურის ნაღდი ფულით გადახდა, ასევე ბარათით ხდება ანგარიშსწორება ახალ ავტობუსებშიც, თუმცა არის რამდენიმე ავტობუსი დარჩენილი, სადაც კვლავ არის შესაძლებელი ნაღდი ფულით მგზავრობა, მაგრამ ეტაპობრივად იქაც მოხდება ამის ამოღება, – აღნიშნა წილოსანმა.

მისივე თქმით, სააბონემენტე სისტემის ამოქმედების მიუხედავად, 1 თებერვლიდან მგზავრების ნაწილი შეღავათიანი ტარიფით სარგებლობას კვლავ შეძლებს. მათ შორის, ეს შეღავათი უკვე მიკროავტობუსებზეც გავრცელდება და თუ, მაგალითად, მოსწავლეები აქამდე ავტობუსებით და მეტროთი უფასოდ მგზავრობდნენ, ახლა მიკროავტობუსითაც უფასოდ შეძლებენ გადაადგილებას.

ამასთან, როგორც წილოსანმა აღნიშნა, მგზავრების 55% სწორედ შეღავათიანი ტარიფით სარგებლობდა.

ცნობისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა შეეძლება თბილისში რეგისტრირებულ უსინათლო პირებს, მათ თანმხლებ და გამცილებელ პირებს, უბნის ინსპექტორებს, ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს, თბილისის მუნიციპალური ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, თბილისში რეგისტრირებული სამხედრო ძალების ვეტერანებს და ა.შ.

ამასთან, შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის უფლებით კვლავ ისარგებლებენ სტუდენტები, პენსიონერები და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები.

ალუდა ღუდუშაური: „ღარიბაშვილი ვაჟკაცი პრემიერია“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ალუდა ღუდუშაური არ აღიარებს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს მთავრობისა და კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის რეიტინგი მკვეთრად დაეცა.

– დღეს ქვეყანას ჰყავს პრემიერი ბატონ ღარიბაშვილის სახით, რომელიც არის პატრიოტი, ვაჟკაცი და საქმეზე უაღრესად ორიენტირებული, ქვეყნის ინტერესების დამცველი, ნამდვილად ღირსეული პრემიერი.

ის კვლევები, რომლებზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ერთია და მეორეა საზოგადოების, ამომრჩევლის განწყობა, რაც კარგად დავინახეთ არჩევნებში, – განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა.

მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილოა – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, ირაკლი ღარიბაშვილის რეიტინგი უკმაყოფილების ისტორიულ ზღვარზეა, გამოკითხულთა 35% მის საქმიანობას ცუდად აფასებს.

სანატორიუმ „ქართლში“ ჩასახლებულ დევნილთა 9 ოჯახს საცხოვრებელი მისცეს

დევნილთა სააგენტომ სანატორიუმ „ქართლში“ ჩასახლებული 9 ოჯახი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყო.

მათ ქვემო ფონიჭალაში 5-სართულიან კორპუსში მისცეს ბინები.

თბილისში, ახალაშენებულ კორპუსში, ბინა ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრებ 9 დევნილ ოჯახს უკვე გადაეცა. ასევე, იძულებით გადაადგილებულმა 7-მა ოჯახმა, განსახლების ალტერნატიული მოდელი აირჩია და თავად მოიძია საცხოვრებელი ფართები, რომლებსაც სააგენტო შეუსყიდის.

ამ ეტაპზე, იძულებით გადადგილებულ ოჯახებს, სამოთახიანი და ოროთახიანი ბინები ჩაბარდა. აღნიშნული საცხოვრებელი ფართები სააგენტომ, გაცემული დაპირების შესაბამისად, პირველივე შესაძლებლობისთანავე, სანატორიუმ „ქართლის“ შენობაში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს შესთავაზა.

განსახლების პროცესი დაწყებულია და 2022 წელს, ეტაპობრივად, ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ყველა დევნილი ოჯახი საცხოვრებელი ფართით უპირობოდ დაკმაყოფილდება – აღნიშნულია დევნილთა სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დევნილთა სააგენტო სთავაზობს სანატორიუმ „ქართლში“ ჩასახლებულ პირებს, თბილისში ბინები თავად მოიძიონ. უწყება მათ კვადრატულ მეტრში 550 დოლარის ეკვივალენტს ლარში გადაუხდის. აგრეთვე, დევნილებს აქვთ საშუალება, გადავიდნენ ქირით საცხოვრებლად, სანამ მათთვის შეძენილი ბინები არ აშენდება. ქირის ფულს სახელმწიფო გადაიხდის.

ის დევნილები, რომლებიც საცხოვრებელი ფართით არ დაკმაყოფილდნენ, პრობლემის მოგვარების მიზნით 28 იანვარს 11 საათზე ჯანდაცვის სამინისტროში მისვლას გეგმავენ.

ევროპელი ანალიტიკოსები გერმანიას რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებენ

კიევის მერი: „გერმანიის საქციელი გვამუნჯებს“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის კრიზისი, უკრაინა-რუსეთის შესაძლო ომი, პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი მდგომარეობა და ევროპის უსაფრთხოება ისევ მთავარ თემებად რჩება. ამ ფონზე უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფოს – გერმანიის დამოკიდებულება უკრაინის კრიზისისადმი.

რუსეთის ხელში არსებული ენერგორესურსები რომ პოლიტიკური ინსტრუმენტი და ზეწოლის იარაღია, უფრო მკაფიოდ იკვეთება. დასავლელი პარტნიორები აგრძელებენ გერმანიის კრიტიკას იმის გამო, რომ მან უარი თქვა უკრაინისათვის თავდაცვითი ლეტალური იარაღის მოწოდებაზე. ყველა აცხადებს, რომ გერმანიის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე გაიზარდა „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაზსადენის აშენების შემდეგ. მილსადენს ჯერ სერტიფიკაცია არ გაუვლია და, როგორც ჩანს, დათქმულ ვადაში ვერ ამოქმედდება.

პარტნიორების მიერ ნამუსზე შეგდებულმა გერმანიის ხელისუფლებამ უკრაინაში 5 000 სამხედრო მუზარადი გააგზავნა. კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ ეს ხუმრობად მიიღო.

– ეს, უბრალოდ, ხუმრობაა. შემდეგში რას გამოგვიგზავნის გერმანია – ბალიშებს?! – აცხადებს გერმანული „ბილდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში კიევის მერი.

მისივე შეფასებით, ამის შემხედვარე ადამიანი ლაპარაკის უნარს კარგავს. „გერმანიის საქციელი გვამუნჯებს“ – ამბობს კლიჩკო.

გერმანიის, ასევე საფრანგეთის სისუსტეზე შექმნილ სიტუაციაში მიუთითებს „ფარკფურტერ ალგემაინე“. ავტორების აზრით, ევროპელების სისუსტე გამომდინარეობს სამხედრო უძლურებიდან და რუსეთის გაზზე დამოკიდებულებიდან.

როგორც ცნობილია, ნორმანდიული ფორმატი, გერმანიისა და საფრანგეთის მონაწილეობით, შეთანხმდა შეამციროს უთანხმოება და მომავალშიც შეიკრიბოს.

გამოცემის დასკვნით, გერმანია და საფრანგეთი ვერაფერს გახდებიან უკრაინის საკითხზე მანამ, სანამ რუსეთის გაზზე იქნებიან მიბმული.

– შოლცი და მაკრონი ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ უკრაინის კრიზისის გადაწყვეტაში, მაგრამ მათ დააგვიანდათ. პუტინმა რამდენიმე კვირით ადრე გამოთიშა ისინი იმ თამაშიდან, რომელიც მიმდინარეობს მათივე კონტინენტისათვის. – აცხადებენ ავტორები.

გამოცემის აზრით, გერმანიაში ახალი მთავრობაა, საფრანგეთი კი ჩაბმულია წინასაარჩევნო ბრძოლაში. ამის მიუხედავად, გერმანიას და საფრანგეთს უკრაინის კრიზისზე თავისი ინიციატივები ადრევე უნდა წარმოედგინათ.

პოლონური „ვ პოლიტიკე“ ვარაუდობს, რომ გერმანია რუსეთთან გარიგდა მაშინ, როცა გააფორმა შეთანხმება „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის თაობაზე. ავტორების მოსაზრებით, ეკონომიკურ ნაწილს მხარეებმა საიდუმლო ოქმი დაუმატეს. ის ეხება აღმოსავლეთ ევროპაში გავლენების გადანაწილებას.

პოლონური გამოცემა ასკვნის, რომ გერმანიამ უკრაინა გაყიდა და რუსეთს დაუთმო. გამოცემა იზიარებს პოლონეთის ყოფილი საგარეო მინისტრის, სიკორსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ არის მოლოტოვ-რიბენტროპის თანამედროვე აქტი.

– გერმანიის ირაციონალურ პოზიციას იმაზე, რომ იმპერიულ რუსეთთან შესაძლებელია თანამშრომლობა საბაზრო საფუძველზე, შესაძლოა საომარი ესკალაცია მოჰყვეს, – ამბობენ პოლონელი ექსპერტები.

მათი აზრით, ციმბირში მოპოვებულ ნედლეულს არ შეიძლება კავშირი ჰქონდეს იმასთან, რომ ბრიტანულ სამხედრო დახმარებას აეკრძალოს გერმანიის საჰაერო სივრცის გადაკვეთა.

როგორც ჩანს, ევროპის უსაფრთხოებაში მთავარ სიტყვას აშშ, ასევე დიდი ბრიტანეთი იტყვიან. ამ კრიზისულ მდგომარეობაში გამოიკვეთა ერთი ახალი ალაინსის კონტურები. ეს არის ლონდონი-კიევი-ვარშავას კავშირი. სავარაუდოდ, მას სხვა სახელმწიფოები დაემატებიან. მათ შორის არ იქნებიან გერმანია და საფრანგეთი.

გურჯაანში გიორგი მღებრიშვილმა დისშვილის მკვლელი გელა ჩაღიაშვილი მოკლა

26 იანვარს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში კაცმა მეზობელი მოკლა.

60 წლის გიორგი მღებრიშვილმა 36 წლის გელა ჩაღიაშვილს სანადირო თოფიდან ესროლა.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა შურისძიებას უკავშირდება.

რამდენიმე წლის წინ, ჩაღიაშვილმა მღებრიშვილის დისშვილი მოკლა. 26 იანვარს კი მხარეებს შორის კონფლიქტი ქუჩაში მას შემდეგ დაიწყო, რაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ჩაღიაშვილმა მღებრიშვილს აგინა.

გოჩა ჩაღიაშვილის მამა ზურაბ ჩაღიაშვილი „მთავართან“ ამბობს, რომ მის შვილს გიორგი მღებრიშვილის ნათესავთან თანხასთან დაკავშირებული დაპირისპირება ჰქონდა. ჯერ კიდევ 2005 წელს მხარეებმა ამის გამო დუელი გამართეს, რომლის დროსაც ჩაღიაშვილმა გიორგი მღებრიშვილის დისშვილი მოკლა.

ამის შემდეგ ოჯახებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა. როგორც მოკლულის მამა აცხადებს, მის შვილს ტელეფონით დაუკავშირდნენ და სოფლის ცენტრში ჩაიყვანეს, სადაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გიორგი მღებრიშვილი თანმხლებ პირებთან ერთად დახვდა.

– ვინც შვილი მომიკლა, ის ჩემთან ძმაკაცობდა ჭაბუკობას, მერე რა ვიცი, ვალი ჰქონდათ. ვირი მივყიდე, ფულს ვთხოვდი, არ მომცეს, ჩათვალე, რომ დაგაწერეთო. მერე ბალღებს მოუვიდათ დავა ფულის გამო, ბირჟაზე გამოიძახეს, ტელეფონით დაურეკეს, თოფი ესროლეს. გაიქცა პირველი სროლის მერე, კედელზე რომ გადასულიყო, ვეღარ გაასწრო, დაეცა და კეფა გაიხეთქა, ფეხში დაჭრა, ხელშიც დაჭრილია, – ყვება გოჩა ჩაღიაშვილის მამა.

60 წლის გიორგი მღებრიშვილი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

მისი ადვოკატი აღნიშნავს, რომ მკვლელობა არ უკავშირდება შურისძიებას, რაზეც მოკლულის ოჯახის წევრები საუბრობენ.

მისი თქმით, სოფლის ცენტრში დაპირისპირება სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაიწყო და ფიზიკურში გადაიზარდა, რის შემდეგაც, გიორგი მღებრიშვილმა სახლიდან სანადირო თოფი გამოიტანა და სამი გასროლით გოჩა ჩაღიაშვილი მოკლა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს. თანამშრომლობს გამოძიებასთან. მან თვითონ დარეკა პოლიციაში და ეს ინფორმაცია თვითონ მიაწოდა სამართალდამცავ ორგანოებს. იარაღიც თვითონ გადასცა. ამ მკვლელობამდე იყო როგორც სიტყვიერი დაპირისპირება, ძალიან დიდი შეურაცხყოფა გარდაცვლილის მხრიდან, – თქვა ადვოკატმა.

ბრალდებულის დისშვილი აცხადებს, რომ მკვლელობის მოტივი შურისძიება არ ყოფილა. როგორც ზუკა ჯავახიშვილი ყვება, გარდაცვლილმა გელა ჩაღიაშვილმა 2005 წელს მისი ძმა მოკლა და ამისთვის სასჯელიც მოიხადა. 26 იანვარს, მკვლე-ლობის დღეს კი, მისი ბიძის, გიორგი მღებრიშვილის ოჯახში მიიჭრა და ეზოში ხელყუმბარა გადაუგდო.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ შურისძიება იყო, ეს ახლა დაუდეს მოტივად, მაგრამ ასე არ არის. თვითონ მიუვარდა სახლში ბიძაჩემს, მთვრალი იყო, უგინე-ბია და ეზოში ხელყუმბარა გადაუგდია. ბიძაჩემს ცალი თვალი არ აქვს, 60 წლის კაცია, არ მისცა მოსვენება. ხელყუმბარა გაანეიტრალეს და საბედნიეროდ, არ აფეთქდა. 2005 წელს ჩემი ძმა მოკლა გელა ჩაღიაშვილმა ურთიერთშელაპარაკე-ბისას, გულში ჩაარტყა დანა. მოიხადა სასჯელი, 8 წელიც არ გამოუვიდა, რადგან საყოველთაო ამნისტიის დროს შეიწყალეს და ვადაზე ადრე დატოვა საპატიმრო, – თქვა ზუკა ჯავახიშვილმა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის

პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გურჯაანის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 1961 წელს დაბადებული გ.მ დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 26 იანვარს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში ურთიერთშელაპარაკების შედეგად, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თანასოფლელს – 1985 წელს დაბადებულ გ. ჩ.-ს.

„პოლიციამ ნივთმტკიცების სახით დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

პოლიციელები ნუკრი კაპანაძე და კახა ბაკაშვილი ამბობენ, რომ ვიდეოში ისინი არ არიან

მეტროში არასრულწლოვნის, შშმ პირის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული პატრულ-ინსპექტორების საქმის პროკურორის, ალექსანდრე ჩხეიძის, განცხადებით, დაკავებულები უარყოფენ, რომ გადაღებულ ვიდეოკადრებში ისინი არიან.

ჩხეიძის თქმითვე, ჩვენება მიცემული აქვს ბრალდებული პოლიციელების ხელმძღვანელს, რომელმაც მისი თანამშრომლები ვიდეოჩანაწერში ამოიცნო.

პროკურორის განმარტებით, აღნიშნულ ვიდეოჩანაწერზე ექსპერტიზა ჩატარდება.

– სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე შუამდგომლობს, რომ ორივე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნას პატიმრობა, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მათი მხრიდან არსებობს მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მოწმეებზე ზემოქმედების რეალური საფრთხეები. მოწმის სახით გამოკითხულია არაერთი პირი, თავად დაზარალებული და ასევე, მოპოვებული გვაქვს აუდიო-ვიდეოჩანაწერი, სადაც ნათლად არის ასახული ბრალდებულების მხრიდან ჩადენილი დანაშაული.

ამ ეტაპზე სამხრე კამერებთან დაკავშირებით ველოდებით შესაბამის პასუხს, ახორციელებდნენ თუ არა ეს პატრულ-ინსპექტორები გადაღებას.

ჩვენება ორივე ბრალდებულს აქვს მიცემული, დადასტურებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წერილითაც და თავად ბრალდებულებიც ადასტურებენ, რომ 23 იანვარს, ისინი ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას მეტროსადგურ „ისნის“ შენობაში, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, ორივე აღნიშნულ ბრალს უარყოფს. ჩვენ ვმორიგეობდით, ჩვენ ვასრულებდით სამსახურებრივ მოვალეობას, უბრალოდ, ჩვენ არ ვართ კადრებშიო, ასე ამბობენ. ბრალდებულებისთვის

მათ პატიმრობა შეეფარდა

კადრები წარდგენილი გვაქვს და უარყოფენ, რომ ისინი არიან. თუმცა, მათი უშუალო ხელმძღვანელი და თანამშრომელია გამოკითხული, რომელმაც ვიდეოჩანაწერებში ორივე პირი ამოიცნო. მეტროსადგურის ყველა აუდიო-ვიდეოჩანაწერი ამოღებულია, თუმცა, სადაც ძალადობა მოხდა, ვიდეოკამერები არ ყოფილა, თუმცა, სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები ფიქსირდება, – განაცხადა ჩხეიძემ.

27 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე ნუკრი ბაქრაძესა და კახა ბაკაშვილის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მიხეილ ჯინჯოლიამ მიიღო.

როგორც პროკურორი ალექსანდრე ჩხეიძე აცხადებდა, ბრალდებულების მხრიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არსებობს.

დაცვის მხარე კი აღნიშნულ შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა. კახა ბაკაშვილის ადვოკატი მის 10.000-ლარიანი, ნუკრი ბაქრაძის ადვოკატი კი 20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას მოითხოვდა.

პატრულ-ინსპექტორ ნუკრი ბაქრაძეს ბრალად ედება არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 ტერცია მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პატრულ-ინსპექტორს კახა ბაკაშვილს კი ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გიორგი ბალხამიშვილი: „ნინო ლაცაბიძის კრიტიკისთვის ერეკლე აბზიანიძემ მცემა“

თავდასხმა პოლიტიკური ნიშნით რუსთავში – სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოება ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა.

კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც სამოქალაქო აქტივისტმა სოციალურ ქსელში რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე გააკრიტიკა, ამან კი „ოცნების“ პარტაქტივი გააღიზიანა.

აქტივისტი გიორგი ბალხამიშვილი ამბობს, რომ მმართველი გუნდის მხარდამჭერი ერეკლე აბზიანიძე ჯერ სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, შემდეგ კი რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად ფიზიკურად გაუსწორდა.

დაზარალებულმა პოლიციას საჩივრით მიმართა, რის შემდეგაც თავდამსხმელი მას საცხოვრებელ სახლში მიუვარდა და ოჯახის წევრების თანდასწრებით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ისევ მიაყენა.

– კონფლიქტი დაიწყო მაშინ, როცა „ინფო რუსთავის“ პორტალზე კრიტიკულ კომენტარებს ვწერდი რუსთავის „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ნინო ლაცაბიძესთან მიმართებით, – ამბობს გიორგი ბალხამიშვილი.

პოლიციამ თავდამსხმელი გამოკითხა, თუმცა არ დაუკავებია.

დიდატ ნინო ლაცაბიძესთან დაკავშირებით. ერეკლე აბზიანიძე გამომეხმაურა, მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც მე საკადრისი პასუხი გავეცი.

რუსთავის ციხეებთან ეს პიროვნება თანმხლებ პირთან ერთად დამხვდა, როდესაც ვბრუნდებოდი სახლში და ფიზიკურად გამისწორდა. მითხრა, რომ ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მე კრიტიკულ კომენტარებს ვწერდი „ქართული ოცნების“ კანდიდატ ნინო ლაცაბიძესთან მიმართებით, – ამბობს გიორგი ბალხამიშვილი.

ბესიკ თამლიანი და 3 პირი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებული 4 პირი – ბესიკ თამლიანი, ემზარ სიუკაევი, კახაბერ ქეშიკაშვილი და სტეფანე გიქოშვილი – კვლავ პატიმრობაში რჩება.



აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიზო უბილავამ მიიღო.

27 იანვრის პროცესზე მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მხარეების მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება დასაშვებად იქნა ცნობილი. ამასთან, დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა.

ბრალდების მხარე ყველა მათგანის მიმართ კვლავ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა, რასაც დაცვის მხარე არ დაეთანხმა. ადვოკატები ბრალდებულების ნაწილის გირაოს, ნაწილის კი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდნენ.

ბრალდებული 5 პირიდან ბრალს მხოლოდ ლაშა სამხარაძე აღიარებს, ის პატიმრობაში არ იმყოფება.

მოსამართლე გიზო უბილავას გადაწყვეტილებით, დაკავებულების საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა.

სასამართლო პროცესიდან ბესიკ თამლიანი გააძევეს.

ცნობისთვის, 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე 5 პირი – ბესიკ თამლიანი, ემზარ სიუკაევი, ლაშა სამხარაძე, კახაბერ ქეშიკაშვილი და სტეფანე გიქოშვილი დააკავეს.

ბესიკ თამლიანს, ემზარ სიუკაევს და ლაშა სამხარაძეს პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას, კახაბერ ქეშიკაშვილსა და სტეფანე გიქოშვილს კი, პოლიციელზე თავდასხმას ედავებიან.

ლაშა სამხარაძე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული.

ამასთან, ბესიკ თამლიანი 20 ივნისის საქმეზეა ბრალდებული და მას ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავებიან, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება.

თამლიანს აღნიშნულ საქმეზე 4.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

„სალომე ტეტუნაშვილს ბიჭების ჯგუფი ახსოვს, სხეულზე დაზიანებები აქვს“

ქართველი ემიგრანტი ნეაპოლის პოლიციამ გამოკითხა

ხუთდღიანი გაუჩინარების შემდეგ იტალიაში ნაპოვნი ქართველი ემიგრანტი უმძიმეს ფსიქოლოგიურ სტრესშია.

სალომე ტეტუნაშვილს სახესა და თავის არეში დაზიანებები აღენიშნება, თუმცა ვინ იძალადა მასზე, ახალგაზრდა ქალი ვერ იხსენებს.

ქალმა გამომძიებლებს პირველი ჩვენება უკვე მისცა, თუმცა კონკრეტულ გარემოებებს ვერ იხსენებს.

ახლა ყველაფერი სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზეა დამოკიდებული – გამომძიებლებმა უნდა გაარკვიონ, გაიყვანეს თუ თვითონ გავიდა სახლიდან, სად მიდის ტეტუნაშვილის კვალი, სწორედ ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ გახდება ცნობილი.

– მეხსიერების ჩავარდნები აქვს, რაღაც დეტალები ახსოვს, რაღაცას ვერ იხსენებს. აცხადებს, რომ სახლიდან გამოვიდა, თუმცა არ ახსოვს, ზარი მიიღო თუ საკუთარი ნებით გავიდა.

ის არ ამბობს, რომ საავადმყოფოში მანქანით დატოვეს, აცხადებს, რომ ახსოვს ბიჭების დიდი ჯგუფი, უთხრეს, რომ გარკვეული მიმართულებით წასულიყო და საავადმყოფოშიც ასე 2 დღეში აღმოჩნდა. საკმაოდ შორია, 24 კილომეტრი ახალგაზრდა გოგომ ჩუსტებით როგორ გაიარა?! თავი სტკივა და ნიკაპი აქვს დაზიანებული, თუმცა არ ახსოვს, როგორ მიიღო დაზიანებები, – უთხრა ტვ პირველს ადვოკატმა ინგა სიხარულიძემ, რომელიც სალომე ტეტუნაშვილის გამოკითხვას ესწრებოდა.

თბილისში ჯიპი მოტოციკლეტს დაეჯახა

27 იანვარს თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ავტომობილი და მოტოციკლეტი ერთმანეთს შეეჯახნენ.

არიან დაშავებულები.

ინფორმაცია და ფოტო ფეისბუქ ჯგუფმა „ჩემი ქალაქი მკლავს“ გამოაქვეყნა.

მამაკაცმა ნატახტარის ხორცის მაღაზიაში სროლა ატეხა

მამაკაცმა ნატახტარის ხორცის მაღაზიაში სროლა ატეხა

26 იანვარს ღამით მამაკაცი ნატახტარის ხორცის მაღაზიაში შეიჭრა და რამდენჯერმე გაისროლა. ის 4 თანმხლებ პირთან ერთად პროდუქტის ვალად წაღებას ითხოვდა.

მას შემდეგ, რაც გამყიდველმა ხორცის უფასოდ მიცემაზე ბრალდებულს და მის თანმხლებ პირებს უარი უთხრა, თავდამსხმელმა უმისამართოდ სროლა დაიწყო.

დაზიანდა მაღაზია და დაშავდა გამყიდველი.

ბრალდებულმა ვერც ხორცი წაიღო და მიმალვისას დანაშაულის იარაღი მაღაზიაში დარჩა.

პოლიციამ მამაკაცი დააკავა.

აღიარებს თუ არა დაკავებული ბრალს, უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით დაიწყო.

ბლინკენი: „ნატოს ღია კარის პოლიტიკა არ შეიცვლება“

– შეერთებულმა შტატებმა მოსკოვს წერილობითი პასუხი გასცა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შეკავებას.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა.

პასუხი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთში აშშ-ის ელჩმა ჯონ სალივანმა პირადად მიაწოდა.

როგორც ამერიკელმა დიპლომატმა ჟურნალისტებს სახელმწიფო დეპარტამენტში განუცხადა, წერილობითი დოკუმენტი ხაზს უსვამს სფეროებს, სადაც აშშ-მა განაცხადა, რომ ხედავს რუსეთთან პროგრესის პოტენციალს – შეიარაღების კონტროლი, გამჭვირვალობა და სტაბილურობა.

ბლინკენმა თქვა, რომ აშშ-ის პასუხი რუსეთის მიმართ „ასახავს დიპლომატიურ გზას, თუ რუსეთი ამას აირჩევს“ და დასძინა, რომ იგი მოელის შემდგომ დისკუსიას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან უახლოეს დღეებში.

– დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მივაწოდეთ, მოიცავს შეერთებული შტატების, ჩვენი მოკავშირეების და პარტნიორების შეშფოთებას რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირს უთხრის უსაფრთხოებას, პრინციპულ და პრაგმატულ შეფასებას რუსეთის მიერ წამოყენებული წინადადების შესახებ და ჩვენს წინადადებებს იმ სფეროებისთვის, სადაც შეგვიძლია ვიპოვოთ საერთო ენა, – განაცხადა ბლინკენმა.

ბლინკენს სხვა დეტალებზე არ უსაუბრია, თუმცა თქვა, რომ აშშ-ის პასუხი ადასტურებს იმას, რაც აშშ-მ და ნატო-მ საჯაროდ განაცხადეს, შეინარჩუნონ ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა და უარი თქვან რუსეთის მოთხოვნაზე, რომ ნატო-მ არასდროს უნდა მიიღოს უკრაინა ალიანსში წევრად.

– არ არის ცვლილება. არ იქნება ცვლილება, – თქვა ბლინკენმა აშშ-ის მიერ ნატოს ღია კარის პოლიტიკის მხარდაჭერაზე.

– ჩვენ ნათლად ვაცხადებთ, რომ არსებობს ძირითადი პრინციპები, რომელთა დასაცავად მზად ვართ, მათ შორის უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოების უფლება, აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების ზომები და ალიანსები, – დასძინა მან.

გასული წლის 17 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შეთანხმებათა 2 პროექტი უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც მოსკოვს გააჩნია მოლოდინი აშშ-სა და ნატოსგან, რომ უარს იტყვიან აღმოსავლეთით ნატოს შემდგომ გაფართოებაზე.

ლავროვი: „ნატოს პასუხზე გადაწყვეტილებას პუტინი მიიღებს“

– რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადაიდგას მას შემდეგ, რაც რუსეთმა აშშ-სა და ნატოსგან უსაფრთხოების გარანტიების წინადადებებზე წერილობითი პასუხები წარადგინეს.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

– უწყებათაშორისი კოორდინაციის შემდეგ ჩვენ მოვახსენებთ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. ის მიიღებს გადაწყვეტილებას ჩვენს შემდგომ ნაბიჯებზე, – განაცხადა ლავროვმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის წინადადებებზე შეერთებული შტატების და ნატოს პასუხებს მოსკოვი ერთ პაკეტში შეისწავლის.

– ჩვენ ახლა განვიხილავთ პასუხს, რომელიც მივიღეთ ამერიკელებისგან და რომელიც, როგორც სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა თავად განაცხადა, შეთანხმებული იყო უკრაინელებთან და სხვა დასავლურ ქვეყნებთან, რომლებიც შეერთებული შტატების მოკავშირეები არიან.

ამასთან, მივიღეთ პასუხი ნატოსგან, მისი გენერალური მდივნისგან, იენს სტოლტენბერგისგან. ჩვენ განვიხილავთ ამ ორ დოკუმენტს ერთ პაკეტში, რადგან ეს არის რეაქცია ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტებზე, რომლებიც 2021 წლის დეკემბერში შევთავაზეთ, – განაცხადა ლავროვმა.

გერმანიაში რუს მეცნიერ ილნურ ნაგაევს ჯაშუშობაში ბრალი წაუყენეს

გერმანიის ფედერალურმა პროკურორმა რუს მეცნიერს, რომელიც ბავარიის უნივერსიტეტში იყო დასაქმებული, ბრალი წაუყენა.

გერმანიის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბრალდებული ილნურ ნაგაევი რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურს კოსმოსური სარაკეტო პროგრამა არიანის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა.

ბრალდების დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ 2019 წელს ილნურ ნაგაევსა და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებს შორის რეგულარული შეხვედრები იმართებოდა და ბრალდებულმა ინფორმაციის გადაცემის სანაცვლოდ 2.500 ევრო მიიღო.

ილნურ ნაგაევი 2021 წლის 18 ივნისს დააკავეს.

საბრალდებო დასკვნა, რომელიც 9 დეკემბრით თარიღდება, მიუნხენის რეგიონის სასამართლოშია შესული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მთვრალ მძღოლს 190 წლით ჩამოართვეს მართვის მოწმობა

უკრაინის ქალაქ ლვოვის მცხოვრები ერთი წლის განმავლობაში მეოთხედ დაიკავეს 15 დღით მანქანის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში მართვისთვის. აღსანიშნავია, რომ ის არ ესწრებოდა მისი საქმეების სასამართლო განხილვებს და არ იხდიდა ჯარიმებს. ხოლო საბოლოოდ ვადამ, რომლითაც მას მანქანის მართვა აეკრძალა, საერთო ჯამში, 190 წელი შეადგინა.

ლვოვის შევჩენკოს რაიონულმა სასამართლომ 33 წლის ანატოლი სავიცკის 15 დღით ადმინისტრაციული მიუსაჯა გასული წლის დეკემბრის ბოლოს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის. ორი კვირის შემდეგ მის მიმართ კიდევ ორი დადგენილება იქნა განხილული, რომელიც სექტემბრის შემთხვევებს შეეხებოდა. მაშინაც მას თვალის გუგები გაფართოებული ჰქონდა, მეტყველება გაუგებარი, ხელის თითები კი უკანკალებდა. ორივე შემთხვევაში მან უარი თქვა მის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობის დასადგენი შემოწმების გავლაზე. მოგვიანებით მას მეოთხედ მიესაჯა 15-დღიანი პატიმრობა.

საერთო ჯამში, უკრაინელს მანქანის ნარკოტიკული და ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მართვისთვის 190 წლით აეკრძალა მანქანის მართვა. ასევე აღსანიშნავია, რომ ყოველი დაკავების დროს მასზე არ იყო გაფორმებული არც ერთი ის ავტომობილი, რომელსაც ის მართავდა.

ქარხნის მუშა ლატარიაში მოგებისთანავე სამსახურიდან განთავისუფლდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ლატარიაში ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო და მაშინვე სამსახურიდან განთავისუფლდა.

61 წლის იან ბლეკი ღამის სმენის შემდეგ ქარხნიდან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც გადაწყვიტა, გაზეთის საყიდლად მაღაზიაში შეევლო. გაზეთთან ერთად მან სალაროში ლატარიის ბილეთიც შეიძინა. მისი შენაძენი მომგებიანი აღმოჩნდა და თავიდან ბრიტანელი ვერც კი მიხვდა, თუ მოგებამ რამდენად გაამდიდრა.

ახალი ამბით აღელვებული მამაკაცი სასწრაფოდ სახლში დაბრუნდა, რათა სიხარული მეუღლე სანდრასთვის გაეზიარებინა. სახლში მისულმა, ცოლს თავისთან უხმო, რათა მისთვის რაღაც ეჩვენებინა.

– მგონი, ამდენი ნული არასდროს მინახავს. დიდხანს მეპარებოდა ეჭვი, ეს მართლაც ორი მილიონი ფუნტი იყო თუ არა, – აღიარა ბლეკმა. როგორც კი მოგებული თანხის ოდენობაში დარწმუნდა, მამაკაცმა მაშინვე სამსახურიდან განთავისუფლება მიიღო და თავის ხელმძღვანელს დაურეკა. მან უთხრა, რომ ის სამსახურში არც იმ დღეს, არც მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში და საერთოდ ქარხანაში აღარასოდეს გამოჩნდებოდა. გაოგნებული ხელმძღვანელი დაინტერესდა, თუ რაში იყო საქმე და ბლეკმა უპასუხა, რომ მან ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

ოჯახური წყვილი მოგებული თანხის ნაწილით მიწის ნაკვეთის ყიდვას, სახლის აშენებას, ასევე სანდრასთვის ახალი ავტომობილისა და 75-დიუმიანი ტელევიზორის ყიდვას აპირებს. ისინი ასევე აპირებენ, დაეხმარონ თავიანთ ხუთ შვილსა და ათ შვილიშვილს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ლევან მაისაშვილმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი მატჩისთვის 32-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

6 თებერვალს საქართველო პორტუგალიას „მიხეილ მესხზე“, 15 საათზე მასპინძლობს, 12 თებერვალს კი, ამსტერდამში ნიდერლანდებს ეწვევა.

ამ თამაშებისთვის 5 დებიუტანტი მოემზადება. ესენი არიან: ენისეის ფრთა დავით მესხი, რომელიც ბორჯღალოსნებში ზაფხულშიც იყო გამოძახებული, მაგრამ არ უთამაშია; ბიარიცის ბურჯი ლუკა აზარიაშვილი; მესამეხაზელები – ლუკა ივანიშვილი და სანდრო მამამთავრიშვილი, რომლებიც შავი ლომიდან დაწინაურდნენ; ლელოს 18 წლის შუამარბი თორნიკე კახოიძე, რომელმაც 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებში თამაშით გამოიჩინა თავი;

ლევან მაისაშვილი:

– ჩვენი სურვილია, რომ ნაკრებში ყველა პოზიციაზე სიღრმეები გავაჩინოთ. ახალგაზრდები წინა წლებშიც გვყავდა გამოძახებული და როდესაც ამის საშუალება გვექნება, შანსს ყველა მოთამაშე მიიღებს. აზარიაშვილი ადრეც გვყავდა გამოძახებული. ის სისტემატიურად თამაშობს ბიარიცში, 20-წლამდელთა ნაკრებიდანაც ვიცნობთ და გვინდა რომ დავაკვირდეთ. მამამთავრიშვილმა და ივანიშვილმა შავ ლომში ძალიან კარგი სეზონი ჩაატარეს, ყველა თამაშში დამაჯერებლები იყვნენ და გაფართოებულ შემადგენლობაში დავუძახეთ. მესხს დიდი ხანია ვაკვირდებით, აფრიკის ტურნესთვისაც გვყავდა გამოძახებული, მაგრამ მაშინ ტრავმის გამო ვერ ითამაშა და ახლა მიიღებს შანსს. კახოიძე ახალგაზრდა, პერსპექტიული მორაგბეა, რომელმაც ასაკობრივ ნაკრებებში თავი გამოიჩინა. მის პოზიციაზე მაღალი დონის მოთამაშეებით განებივრებულები ვართ და გვაქვს იმედი, რომ მოლოდინებს გაამართლებს.

შემადგენლობის შერჩევისას გვქონდა პატარ-პატარა პრობლემები ტრავმების, კლუბებთან ურთიერთობის თუ ოჯახური სიტუაციის გამო. რამდენიმე სასურველ მორაგბეს ვერ დავუძახეთ კლუბში მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ეტაპისთვის, შესაძლებლობიდან გამომდინარე ოპტიმალური შემადგენლობა გვყავს. სამაგიეროდ გვაქვს შანსი დავაკვირდეთ ახალ მოთამაშეებს და ეტაპობრივად ყველას მიეცემა შანსი.

გუნდს უბრუნდება მეორეხაზელი გრიგორ ქერდიყოშვილი, რომელმაც ბორჯღალოსნების კვართით ბოლოს 2020 წლის „შემოდგომის ერთა თასზე“ ითამაშა, მერე ოპერაციები გაიკეთა, ფრანგულ აუენთან კონტრაქტი გააფორმა და მიმდინარე სეზონში პრო დე 2-ში 9 თამაში ჩაატარა.

ბორჯღალოსნების კვართით ბოლოს 2020 წლის თებერვალში ითამაშა კვაჭმა ვანო კარკაძემ, მერე ტრავმა მიიღო და მოედანს სრულფასოვნად 2021 წლის სექტემბრიდან დაუბრუნდა. მას შემდეგ მან ბრივის მაისურით ტოპ 14-ში ათი, ხოლო ჩელენჯ ქაფზე ორი თამაში ჩაატარა.

სულ გაფართოებულ შემადგენლობაში 18 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა. მაისაშვილი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ჰქონდა სურვილი წელს მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით ეთამაშა.

– გვაქვს პრობლემები გარკვეულ პოზიციებზე, ასევე ტრავმები. ყოველთვის არ ხერხდება საუკეთესო შემადგენლობის თავმოყრა და ეს უნდა გავითვალისწინოთ. გარდა ამისა, ნაკრებში გვაქვს პოზიციების დაახლოებით 20%, სადაც გვსურს სიღრმეების გაჩენა და ამისათვის საჭიროა ახალი მოთამაშეების გამოცდა.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი (2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატთან ერთად) 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა. პირველი წრის შემდეგ, ბორჯღალოსნები 23 ქულით პირველ ადგილზე არიან, მათი პირველი მეტოქე პორტუგალია კი, 14 ქულით მესამე ადგილზეა და მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება რუმინეთს.

– პორტუგალია წლიდან წლამდე პროგრესირებს, რისი ნათელი მაგალითიც ნოემბერში მათი იაპონიასთან თამაშია (რომლის ბედიც დასკვნით წუთებში გადაწყდა – იაპონიამ 38:25 მოიგო). ეს არ არის გუნდი, რომელიც არ უნდა დააფასო. ისინი არიან სწრაფები და აგრესიულები რაქში. მათი ბრძოლისუნარიანობიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება გვმართებს.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, ნიკა აბულაძე, ბექა გიგაშვილი, ლუკა ჯაფარიძე, ლუკა აზარიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ვანო კარკაძე; ლაშა ჯაიანი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, კოტე მიქაუტაძე; გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, აკა ტაბუცაძე, დემე თაფლაძე, ლაშა ლომიძე, მირიან მოდებაძე, თორნიკე კახოიძე, დავით მესხი, ლაშა ხმალაძე, დავით ნინიაშვილი.

შედეგები

26 იანვარი

ფეხბურთი

აფრიკის ერთა თასი

კოტ დივუარი-ეგვიპტე ..... 0:0(4:5პ)
მალი-ეკ.გვინეა ..... 0:0(5:6პ)

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი 0:2

იტალია. სერია ბ

ლეჩე-ვიჩენცა 2:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-სტ.ეტიენი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	22	16	5	1	46-18	53
2.ნიცა	22	13	4	5	36-18	42
3.მარსელი	21	11	7	3	30-16	40
4.სტრასბური	22	10	5	7	44-28	35
5.რენი	22	10	4	8	41-21	34
6.მონპელიე	22	10	4	8	37-30	34
7.მონაკო	22	9	6	7	35-26	33
8.ლანსი	22	9	6	7	36-31	33
9.ნანტი	22	9	5	8	30-27	32
10.ლილი	22	8	8	6	30-30	32
11.ლიონი	21	8	8	5	29-27	31
12.ანჟე	22	7	8	7	28-29	29
13.ბრესტი	22	7	7	8	28-33	28
14.რეიმსი	22	5	9	8	22-27	24
15.კლერმონი	22	5	7	10	22-35	22
16.ტრუა	22	5	5	12	20-31	20
17.ბორდო	22	4	8	10	34-53	20
18.მეცი	22	4	7	11	24-43	19
19.ლორიანი	22	3	8	11	18-38	17
20.სტ.ეტიენი	22	3	6	13	19-43	15

საფრანგეთი. ლიგა 2

კევიი-ამიენი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-ლეუვენი 1:1
ეუპენი-სტანდარდი 0:2
ანდერლეხტი-სერკლი 0:2
სერენი-ბეერსხოტი 2:1

სერენის პირველი გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა

შოტლანდია. ჰემიეხლიგა

დ.იუნაიტედი-როსი 2:1
მოზერველი-ჰიბერნიანი 0:0
რეინჯერსი-ლივინგსტონი 1:0
სტ.ჯონსონი-დანდი 0:0
ჰართსი-სელტიკი 1:2

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ბარტი-კიზი 6:1,6:3
კოლინზი-შვიატეკი 6:4,6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველო ფლეი ოფშია – ფუტსალის ნაკრების ახალი ისტორია

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მე-2 მატჩი გამართა და მე-2 გამარჯვება იზეიმა. ავთანდილ ასათიანის გუნდმა ბოსნია-ჰერცეგოვინა დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა.

პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით დათმო. ერთადერთი გოლი ბოსნია-ჰერცეგოვინას რიგებში ნერმინ კაჰვეჯიჩმა გაიტანა. საპასუხო გოლის გატანა საქართველოს ნაკრებს ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლო, მაგრამ მეტოქე გუნდის მეკარემ რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია. ყოჩაღობდა ზვიად კუპატაძეც, რომელმაც რამდენჯერმე ბოსნიელებს არ გაატანინა. ტაიმის მიწურულს კი, ჩვენმა გუნდმა ტრავმის გამო ერთ-ერთი ლიდერი, ელისანდრო დაკარგა.

პირველი შეხვედრის მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა თამაშში გარდატეხა ამჯერადაც მე-2 ნახევარში შეიტანა. 25-ე წუთზე თალესმა მეკარის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვების გოლის ავტორი კი, ბრუნო პეტრი გახდა, რომელმაც ვილიანის პასით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბოლო წუთებზე ბოსნია-ჰერცეგოვინამ დიდი ძალებით შეუტია საქართველოს ნაკრებს, მაგრამ კუპატაძემ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა.

ავთანდილ ასათიანი:

– 2 თამაში შემოვატრიალეთ და ეს ქართული ხასიათის დამსახურებაა. ყოველთვის გვჯერა, რომ ნებისმიერი თამაშის გადარჩენაა შესაძლებელი. ამხანაგური თამაშები ზუსტად ამისთვის არის საჭირო. ეს კიდევ უფრო დიდ რწმენას გაძლევს, რომ შეგიძლია თამაშის გადარჩენა, რა ანგარიშითაც არ უნდა აგებდე. ელისანდრო ძალიან დაგვაკლდა. ჩანდა, რომ მასზე დიდი აქცენტი ჰქონდათ გადატანილი. ძალიან სწრაფად მიიღო ტრავმა. ისეთი დონის ფორვარდია, დარწმუნებული ვარ, თავის სიტყვას აუცილებლად იტყოდა. მისი გასვლის შემდეგ, სხვა სქემაზე გადავეწყვეთ და ამან გაამართლა. ძალიან კარგია, რომ ერთ მოთამაშეზე დამოკიდებული გუნდი არ ვართ. ელისანდროს მდგომარეობის შესახებ მეტი ექიმებთან საუბრის შემდეგ გვეცოდინება. აქამდე მთელი კონცენტრაცია ბოსნია-ჰერცეგოვინაზე გვქონდა. ხვალიდან, როგორც კი ეს ემოციები ჩაცხრება, შევუდგებით ესპანეთთან მატჩისთვის მზადებას.

ზვიად კუპატაძე:

– მეტოქე სანახაობრივ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ შედეგზე ორიენტირებული, ფიზიკურად ძლიერი გუნდია. სწორედ ისეთი თამაში შემოგვთავაზეს, როგორსაც ველოდით. თუმცა, უფრო ძლიერი გუნდი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. როგორც ჩანს, მათ მეკარეს ცოტა ეშინოდა, რადგან მისთვის 2 გოლი მაქვს გატანილი და თამამად ვერ ერთვებოდა შეტევაში. მებრძოლი გუნდი ვართ და ასეა 2016

წლიდან. ყოველთვის პირველიდან ბოლო წუთამდე ვიბრძოდით და სწორედ ამის გამო შეგვიყვარა გულშემატკივარმა. ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა რაც შეიძლება შორს გავიდეთ. ესპანეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევზე ძალიან გაუჭირდათ ჩვენი დამარცხება. ასე რომ, არაფერს დავთმობთ და ყველა გუნდთან მოსაგებად გავალთ.

ჯგუფის მეორე შეხვედრა ესპანეთის და აზერბაიჯანის ნაკრებებს შრის ფრედ, 2:2 დასრულდა.

2 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 6 ქულა აქვს და ჯგუფის ლიდერია. 4 ქულა აქვს ესპანეთს, 1 – აზერბაიჯანს, ბოსნია უქულოდაა.

ბოლო ტურში ჩვენი გუნდი ესპანეთს ეთამაშება და პირველ ადგილზე გასასვლელად ფრეც ყოფნის. აზერბაიჯანი-ბოსნიის მატჩი კი, ფაქტობრივად, უმოტივაციოა.

სხვა ჯგუფებში ასეთი ვითარებაა: ა ჯგუფს 6 ქულით პორტუგალია ლიდერობს, 3-3 ქულა უკრაინასა და ნიდერლანდებს აქვს, ხოლო სერბეთი უქულოდ არის. ბოლო ტურში პორტუგალია უკრაინას ეთამაშება, ხოლო ნიდერლანდები – სერბებს.

ბ ჯგუფში ძალიან დაძაბული სიტუაციაა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს აქვს. ჯგუფს ყაზახეთი 4 ქულით ლიდერობს, 2-2 ქულა სლოვენიასა და იტალიას აქვს, ფინეთი 1 ქულით ბოლოა. ბოლო ტურში ყაზახეთი იტალიას ხვდება, ხოლო სლოვენია და ფინეთი ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას.

ჩვენთვის საინტერესო ც ჯგუფია, რომლის მონაწილეს საქართველო ფლეი ოფში შეხვდება. ჯგუფს 6 ქულით სათავეში რუსეთი უდგას, 3 ქულით მეორე ხორვატიაა, თითო-თითო ქულა პოლონეთს და სლოვაკეთს აქვს. ბოლო ტურში რუსეთი-პოლონეთი და ხორვატია-სლოვაკეთი ითამაშებენ.

პეკინში ჩვენი მედროშეები წიკლაური და ყვითელაშვილი იქნებიან



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პერსონალური შემადგენლობა დაამტკიცეს.

თამაშებს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი 2022 წლის 4 – 20 თებერვალს უმასპინძლებს, სადაც საქართველოდან სპორტის 3 სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, სამთო თხილამურობა, ციგაობა) 9 სპორტსმენი იასპარეზებს.

ოლიმპიურ დელეგაციას ლერი ხაბელოვი უხელმძღვანელებს, ხოლო ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი იქნება.

ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით იასპარეზებენ:

მორის ყვითელაშვილი, ლუკა ბერულავა-კარინა საფინა, გიორგი რევია-მარია კაზაკოვა, ანასტასია გუბანოვა (ყველა ფიგურული ციგურაობა); ნინო წიკლაური, სოსო ჯაფარიძე (სამთო თხილამურობა); საბა ქუმარიტაშვილი (ციგაობა);

ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშეები მოთხილამურე ნინო წიკლაური და მოციგურავე მორის ყვითელაშვილი იქნებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯაბა კანკავამ სანაკრებო კარიერა დასრულა

35 წლის ჯაბა კანკავას საქართველოს ნაკრებში 100 მატჩი აქვს ჩატარებული და 10 გოლი გაუტანია. ნათამაშები აქვს ყველა ასაკობრივ ნაკრებში. იყო ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი.

იყოს იმიტომ ვამბობთ, რომ კანკავამ სოციალურ ქსელში განაცხადა, მომავალში ეროვნული გუნდის მაისურით აღარ იასპარეზებს.

ჯაბა კანკავა:

– ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც შეძლებისდაგვარად მოკლედ, ბევრი რამის თქმა გსურს. ეს, სწორედ ასეთი შემთხვევაა. სიტყვა მადლობა ჩემ ცხოვრებაშიც გამორჩეულია, ამიტომ მადლობა ღმერთს, რისი კეთების შესაძლებლობაც მომცა, მადლობა ჩემ ქვეყანას, რადგან თავის წარმოჩენის საშუალება ასეთ დონეზე და ამ დოზით მქონდა. მადლობა ხალხს, თითოეულ გულშემატკივარს, ვისგანაც ვგრძნობდი სიყვარულს, გვერდში დგომას, პატივისცემას წლების განმავლობაში. გამორჩეული და განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა დედას, სწორედ მისი და ჩემი ოჯახის თითოეული წევრის და ახლობელი ადამიანის დიდი დამსახურებაა, რომ მქონდა მოტივაცია და შესაძლებლობა, ამდენი ხნის განმავლობაში ვყოფილიყავი ეროვნული ნაკრების წევრი. მინდა გამოვყო და გამოვარჩიო ჩემ მიმართ ლევან კობიაშვილის და ალექსანდრე იაშვილის გვერდში დგომა. მათმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში კვლავ ნაკრების წევრი ვყოფილიყავი.

მადლობა თითოეულ მწვრთნელს, ფეხბურთელს, სამედიცინო პერსონალს, ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც თუნდაც ერთი თამაში ჩავატარე და სანაკრებო გარემოში ვიმუშავე. მადლობა იმ პატივისცემისა და ურთიერთობებისთვის, რაც ერთმანეთის მიმართ გვქონდა. მე ვარ ამაყი, რომ ვიყავი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი 17 წლის განმავლობაში. რამდენად გამომივიდა, არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად მაქსიმუმს ვაკეთებდი, რომ ჩემი ქვეყნის წარმატებაში ჩემი წვლილი შემეტანა. მივიღე გადაწყვეტილება დავასრულო სანაკრებო კარიერა, წარმატებებს ვუსურვებ მთელ საქართველოს და ეროვნულ ნაკრებს, დარწმუნებული ვარ და მჯერა მათი წარმატების მომავალში. ქვეყნის და საქართველოს ნაკრების დიდი გულშემატკივარი ჯაბა კანკავა.

დინამომ ისევ წააგო

თბილისის დინამოს წყალბურთელთა ნაკრებმა ჩემპიონთა ლიგაში მორიგი მარცხი განიცადა. დეიან სტანოიევიჩის გუნდმა ფერენცვაროშთან ამჯერად სტუმრად წააგო – 10:16.

დინამომ მეტოქეს ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუმართა, რომელიც 2:1 მოიგო. თუმცა, შემდეგ ფერენცვაროშმა მოუმატა და ყველა მეოთხედი მოიგო.

დიდ შესვენებაზე უნგრელები ორბურთიანი უპირატესობით გავიდნენ – 8:6. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუმატეს და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

დინამომ კი ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მერვე მატჩი წააგო. მომდევნო მატჩს ჩვენები ნოვი ბელგრადთან სტუმრად 9 თებერვალს ჩაატარებენ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. კინოცენტრი იტალიაში; 4. ერთ-ერთი პირველი საბავშვო ჟურნალი; 5. საფეხურებად გადმომჩქეფი წყალვარდნილი; 8. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 9. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. უდაბნოში მზარდი მცენარე; 13. ყურძნის შაქარი; 16. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 20. ქალაქი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი.

თარაზულად: 6. ომების მოწინააღმდეგე, მშვიდობისმოყვარე ადამიანი; 7. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 8. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 10. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 14. ტბა უნგრეთში; 15. საქონლის გატანა საზღვარგარეთ; 18. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 21. ჭადრაკის ფიგურების განლაგება ამა თუ იმ მომენტში; 22. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 23. სახელმწიფო ევროპაში; 24. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში. *შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯუნგლი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. გოთუა; 5. ვერსაჩე; 8. ფერაძე; 9. კალანდაძე; 12. დურუჯი; 14. ნამაზი; 16. ალიბი.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. ნეოფიტი; 9. კრეოლი; 10. ლადა; 11. კასტელი; 13. კანოე; 15. ლუგელა; 17. ვანდომი; 18. ჯუღელი; 19. გრიზლი; 20. სილეზია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქლიბაძე; 2. ბულბული; 3. ნიაღვარი; 4. ლევილი; 5. ბონდერი; 8. მიჩმანი; 9. ნუვორიში; 12. ჰელვეცია; 13. უდინეზე; 16. სარასატე; 17. რადიუმი; 19. ამპულა; 20. არღანი.

თარაზულად: 6. ალტრუიზმი; 7. მეეზოვე; 8. მუღამი; 10. პარკუჭი; 11. პერუ; 14. ბადაგონი; 15. ალაშვილი; 18. ხარები; 21. მაზანდა; 22. ბრიხი; 23. არაგვი; 24. კეტაშვილი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 იანვარი

აშშ დოლარი — 3.0637

ევრო — 3.4298

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1133

100 რუსული რუბლი — 3.9068

ამინდის პროგნოზი 28 იანვრისათვის

მორატას იუვენტუსის დატოვება სურს

ტურინის იუვენტუსის ფორვარდს ალვარო მორატას გუნდის დატოვება სურს და ის ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია გარემოს გამოცვლა, ამიტომ, სავარაუდოდ, მორატა ესპანეთში დაბრუნდება, სადაც მისით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

ალვარო ისევ მადრიდის ატლეტიკოს საკუთრებაა, სადაც, დიდი ალბათობით, გააგრძელებს კიდეც კარიერას.

ჰოლანდის მომავალი გაურკვეველია

დორტმუნდის ბორუსიას ფორვარდი ერლინგ ჰოლანდი შესაძლოა გუნდში დარჩეს, რადგან მისი მომავალი ბოლომდე გარკვეული არ არის.

ბარსელონაში ტრანსფერს აფერხებს ის ფაქტი, რომ კატალონიურ გუნდს საჭირო ფინანსური რესურსები არა აქვს, რომ ეს ტრანსფერი განახორციელოს, თუმცა თვითონ ჰოლანდს სწორედ ბარსელონაში სურს თამაში.

არის რეალის ვარიანტიც, თუმცა მადრიდელებმა უკან დაიხიეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლეონარდო დი კაპრიომ სახლი უცნობ პირს მიჰყიდა

ამერიკელმა მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ ლოს-ანჯელესში საკუთარი სახლი გაყიდა, რომელიც სამ წელზე მეტი ხნის წინ ცნობილი დიჯეი მობისგან შეიძინა. სახლის მყიდველის საპოვნელად „ოსკاროსან“ მსახიობს ფასდაკლებამ მოუწია.

ლოს-ფელიზ-ოკსის რაიონში 1926 წელს აშენებულ სახლში მსახიობი თავდაპირველად 5,7 მილიონ დოლარს ითხოვდა. თუმცა მისმა ახალმა მფლობელმა, რომლის ვინაობა უცნობია, საბოლოოდ მასში 4,9 მილიონი გადაიხადა. თავად მსახიობმა აღნიშნულ სახლში 2018 წელს 4,2 მილიონი დოლარი გადაიხადა.

თავად შენობა თიუდორების სტილშია შესრულებული. 432 კვადრატული მეტრის ფართობზე განლაგებულია ხუთი საძინებელი, შვიდი სააბაზანო, დიდი სასტუმრო ოთახი ბუხრით, სამზარეულო, სასადილო ბუხრით, სპორტდარბაზი და საუნა. ნაგებობა გაფორმებულია ნათელ ფერებში და გამოყენებულია ბუნებრივი მასალები. ასევე, ნაკვეთის ტერიტორიაზე მდებარეობს აუზი და დასასვენებელი ზონა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 იანვრისათვის

ვერძი – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სახლში მისულ მთვრალ ქმარს ცოლი უყვირის:

– მაი ღვინო და „ვოტკაა“ შენი მტერი და მომასპობელი.

– რა გინდა მერე? გინდა მტერს შევუშინდე?

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რა არის საჭირო რუსული ქეიფისთვის?

– ერთი ყუთი ლუდი, რამდენიმე ბოთლი არაყი, ძეხვი და ძაღლი...

– და ძაღლი რაღა საჭიროა?

– ძეხვი ვინმემ ხომ უნდა შეჭამოს...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე...

– მერე?

– ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, გმირობაა!!!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, დამალობანა ვითამაშოთ.

– ???

– შენ დაიმალე და მე იქნებ ვინმე უკეთესი მოვძებნო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ცოლი მაიძულებს, იატაკი მასტიკით მოვაპრიალო, სულ ძირს ვხოხავ.

– გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. ცოლი რომ გეტყვის, იატაკს მასტიკა წაუსვიო, მაგიდაზე მუშტი დასცხე და დაიყვირე: „მორჩა, გათავდა!“

როდესაც ცოლმა ისევ მასტიკის წასმა და მოპრიალება დაავალა, კაცი ასეც მოიქცა.

– რაო?! – წარბი ასწია ცოლმა, – რა გათავდა?

– მასტიკა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ელდარ შენგელაია 89 წლისაა

რეჟისორი ელდარ შენგელაია 89 წლის გახდა. დაბადების დღე იუბილარს კოლეგებმა, მეგობრებმა, რიგითმა გულშემატკივრებმა პანდემიის გამო, დისტანციურად მიულოცეს.

რეჟისორის შემოქმედება დღემდე პოპულარულია და მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს. ელდარ შენგელაიამ გადაიღო ფილმები „თეთრი ქარავანი“, „მიქელა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „სკამი“...

ელდარ შენგელაია რეჟისორობის პარალელურად, აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობითაც იყო დაკავებული, იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერია, იყო რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი.

რეჟისორს მიღებული აქვს არაერთი სახელმწიფო ორდენი და პრემია, მათ შორის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი მაღალი სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების დამკვიდრებისთვის.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერა ხელის თხოვნით დასრულდა

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლის „ფრთხილად, ადამსების“ პრემიერა ხელის თხოვნით დასრულდა.

პრემიერის ბოლოს, მაყურებლის წინაშე ე.წ. „პაკლონზე“ გამოსული მსახიობები ძალიან სასიამოვნო სცენის მოწმეები გახდნენ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობს ეკატერინე შარიქაძეს მისმა რჩეულმა სცენაზე ყვავილების ულამაზესი თაიგული მიართვა, დაუჩოქა, ბეჭედი აჩუქა და ხელი სთხოვა.

მაყურებლებისა და მსახიობების მხურვალე აპლოდისმენტებისა და ოვაციების ფონზე მსახიობმა საყვარელ მამაკაცს უთხრა „კი“ და ადამსების წარმატებული პრემიერა კიდევ უფრო ბედნიერად დასრულდა.

ქეთა თოფურიას დიზაინით შექმნილი სამოსი საქართველოშია

მომღერალმა ქეთა თოფურიამ დიზაინერობა რომ დაიწყო, მის ახალ წამოწყებას უამრავმა ადამიანმა დაუჭირა მხარი.

თუკი „ა სტუდიოს“ სოლისტი სასცენო კოსტიუმებს იკერავდა, მოგვიანებით გადაწყვიტა, საკუთარი დიზაინით შექმნილი სამოსი რიგითი მომხმარებლებისთვისაც შეეთავაზებინა.

ქეთამ საკუთარი კოლექციები ჯერ რუსეთში წარადგინა, ახლა კი საქართველოშიც შემოიტანა.

ქართველი მომღერლის დიზაინით შექმნილი ზედების, შარვლების, კაბებისა თუ სხვადასხვა აქსესუარების შეძენა თბილისში უკვე შესაძლებელია.

ლედი გაგა დემნას სამოსით ჟურნალის ყდაზე დაბეჭდეს

მომღერალი ლედი გაგა ქართველი დიზაინერის, დემნა გვასალიას, მიერ შექმნილი ერთ-ერთი ბოლო კოლექციით ჟურნალის ყდაზე დაბეჭდეს.

მსოფლიო ვარსკვლავი ბრიტანული „ვოგის“ ახალი ნომრის პირველ გვერდზეა გამოსახული და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქართველი დიზაინერის სამოსით იწონებს თავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბრედ პიტს რომანი აქვს მომღერალ ლიუკე ლისთან

ამერიკელ მსახიობ ბრედ პიტს შესაძლოა რომანი ჰქონდეს შვედ მომღერალ ლიუკე ლისთან.

ინფორმირებული წყაროს მტკიცებით, ამერიკელი მსახიობი 35 წლის მომღერალს ფარულად ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულის დასაწყისიდან ხვდება. აღსანიშნავია, რომ ორივე ლოს-ანჯელესში ერთმანეთისგან რამდენიმე წუთის სავალზე ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ არც ისე დიდი ხნის წინ, წყვილი ერთად ნახეს ჰოლივუდის ახალ დაწესებულება Mother Wolf-ში. იქ მათ ერთად ისადილეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბრიტანული ყველი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 14. ეთერზეთებით მდიდარი, ყვავილოვანი, დეკორატიული მცენარე; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მეტისმეტად კომიკური, მხიარული წარმოდგენა; 7. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 9. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 10. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 11. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 13. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. სახელმწიფო ევროპაში; 19. ფარული დაცინვა; 20. ლირიკული სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა